186
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1984 წ.

17.876

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1984 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების საქართველოს სსრ სასოფლო-სანეურნეო წარმოებაში დანერგვის საერთო დარგობრივი გეგმების კოორდინაციის საუწყებათაშორისო საბჭოს და თუთის წვრილფოთოლა სიხუჭუჭით დაავადებასთან ბრძოლის და ყინვისაგან ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ვენახების დაცვის მთავრობის კომისიების გაუქმების შესახებ.
65. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 606 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცეტნრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
66. ს. ი. დოდაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
67. პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ.
68. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ტრესტ „თბილყოფრემმშენში“ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით ბინათშეკეთება-მშენებლობის ნაწილში შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შემოსაღებად [illegible] ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ.

ს. ქ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

69. ქალაქ თბილისის გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
70. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 1 თებერვლის № 59 დადგენილების მე-15 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
71. საქართველოს სსრ მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
72. საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

73. კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის ადმინისტრაციული დაქვემდებარების შესახებ.
74. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 607 დაგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
75. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 მაისის № 270 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
76. „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დროის აღრიცხვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 თებერვლის № 91 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.
77. საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის ინსტრუქციაში დამატების შეტანის შესახებ.
78. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
79. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სანერგე საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გარდაქმნის შესახებ.
80. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ.
81. სახლ-ინტერნატებში და შინ მცხოვრებ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
82. საავტორო გასამრჯელო დეკორაციული ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის და მრეწველობაში გამოყენებისათვის (ტირაჟირებისათვის)
83. საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ.
84. იმ ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც არ იღებენ სახელმწიფო ან საკოლმეურნეო პენსიებს.
85. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვ. ა. სანაკოევის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვის საერთო დარგობრივი გეგმების კოორდინაციის საუწყებათაშორისო საბჭოს და თუთის წვრილფოთოლა სიხუჭუჭით დაავადებასთან ბრძოლის და ყინვისაგან ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ვენახების დაცვის მთავრობის კომისიების გაუქმების შესახებ

მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სოფლის მეურნეობის მეცნიერების, ტექნიკის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დანერგვის საერთო დარგობრივი გეგმების კოორდინაციის საუწყებათაშორისო საბჭო.

2. გაუქმდეს თუთის წვრილფოთოლა სიხუჭუჭით დაავადებასთან ბრძოლის და ყინვისაგან ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ვენახების დაცვის მთავრობის კომისიები და მათი ფუნქციები დაეკისროს მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის რესპუბლიკური საკოორდინაციო საბჭოს აგროსამრეწველო კომპლექსის სექციის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სამუშაო ჯგუფს.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 20 მაისის № 362 და 1981 წლის 11 მაისის № 332 დადგენილებანი, „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის ძირეული გაუმჯობესების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 18 ივნისის № 362 დადგენილების მე-11 პუნქტი, „ყინვისაგან ციტრუსოვანთა ნარგავებისა და ვენახების დაცვის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 29 დეკემბრის № 754 დადგენილების მე-4 პუნქტი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 იანვრის № 53 და 1980 წლის 16 დეკემბრის № 891 დადგენილებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1984 წ. 11 სექტემბერი, № 669

65 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 606 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 ნოემბრის № 1032 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 606 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 606 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— 1-ლი პუნქტის მეორე აბზაცი და მე-7 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1965 წლის 1 აპრილის № 257 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობების და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების ტრესტების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შრომის ანაზღაურების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 28 აპრილის № 255 დადგენილებით;

— სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 18 ივნისის № 464 დადგენილება „ფეტვის, საკვები ქერის, შვრიის, სიმინდისა და ბარდის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების ამაღლების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 28 ივნისის № 380 დადგენილებით;

— 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (უკანასკნელი აბზაცის გარდა), აგრეთვე ამავე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი (პრემიების ოდენობის შემცირების საფუძვლის ნაწილში) სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1970 წლის 2 აპრილის № 227 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოების მუშაკთა შრომის ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1970 წლის 17 აპრილის № 198 დადგენილებით;

— მე-6 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 20 ნოემბრის № 857 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სამეურნეო ანგარიშის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ (მატერიალური წახალისების ფონდთან დაკავშირებულ ნაწილში), რომელიც დაგზავნილია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 დეკემბრის № 727 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

ქ. თბილისი, 1984 წ. 25 სექტემბერი, № 701

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 25 სექტემბრის № 701 დადგენილებით

ნუსხა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 606 დადგენილებასთან დაკავშირებით

1. 30-ე პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 აპრილის № 297 დადგენილებისა „კარტოფილის, სიმინდის, ბოსტნეულის, ხილისა და ყურძნისაგან დამზადებული კვების პროდუქტების წარმოების გადიდების და ხარისხის გაუმჯობესებისა და ამ პროდუქტებით ვაჭრობის გაფართოების ღონისძიებათა შესახებ.

2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 მარტის № 215 დადგენილება „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნის შესახებ“.

3. მე-3 პუნქტის პირველი აბზაცი და მე-4 პუნქტი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 ივლისის № 459 დადგენილებისა „საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ“, აგრეთვე ამავე დადგენილების მე-18 პუნქტის მეშვიდე აბზაცი ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ხელფასის დანამატების დაწესების და დანამატების გაცემის წყაროს ნაწილში.

4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 აპრილის № 237 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“, მე-5 პუნქტისა და მე-8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის გარდა.

5. მე-2 პუნქტის პირველი და მეორე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 25 აგვისტოს № 466 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამელიორაციო სისტემების ექსპლუატაციისა და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ“.

6. მე-5 პუნქტის მეორე, მესამე და მეხუთე აბზაცები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 15 მარტის № 214 დადგენილებისა „სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის 1976-1980 წლების გეგმისა და მარცვლეულის და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის შესასყიდი ფასების შესახებ“, აგრეთვე ამავე დად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენილების მე-5 პუნქტის მეექვსე აბზაცი პირუტყვის, ფრინველის, რძისა და მატყლის შესასყიდი ფასების ნაწილში.

7. მე-5 პუნქტის მეათე აბზაცი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 7 მარტის № 153 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებების, ბრიგადების, ფერმებისა და წარმოების საშუალო რგოლის სხვა ქვედანაყოფების ხელმძღვანელებად სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა სამუშაოდ გადასვლის სტიმულირების დამატებით ღონისძიებათა შესახებ“, აგრეთვე ამავე პუნქტის მეცხრე აბზაცი სპეციალისტთა ხელფასის დანამატების ოდენობის დაწესების ნაწილში.

---

66 ს. ი. დოდაშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ 1985 წელს სრულდება XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოაზროვნისა და საზოგადო მოღვაწის, მწერლისა და პედაგოგის, ჟურნალ „ტიფლისკიე ვედომოსტის“ ქართული გამოცემის პირველი რედაქტორის სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილის დაბადების 180 წლისთავი, და მისი ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს ს. ი. დოდაშვილის სახელობის ერთი სტიპენდია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის ფრიადოსანი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან.

2. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს:

— მოამზადოს და გამოსცეს ს. ი. დოდაშვილის თხზულებათა კრებული და მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი სტატიების კრებული;

— ჩაატაროს 1985 წლის მაისში ს. ი. დოდაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

3. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ მემორიალური დაფა გაუკეთდეს თბილისის № 1 საშუალო სკოლის შენობას, სადაც ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ს. ი. დოდაშვილი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 9 ოქტომბერი, № 715

67 პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ

„პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 315 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 აპრილის № 315 დადგენილება „პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის

შემდგომი განვითარებისა და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადებაში მისი როლის ამაღლების შესახებ“ (თან ერთვის).

2. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და გაერთიანებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესაბამისად ყოველნაირად შეუწყონ ხელი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის, როგორც კვალიფიციური მუშათა კადრების გეგმაზომიერი მომზადების ძირითადი ფორმის შემდგომ განვითარებას და სრულყოფას, გაზარდონ მისი როლი ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ სწავლებაზე გადასვლის განხორციელებაში;

— გააძლიერონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის იდეურ-პოლიტიკური მიმართულება; იღვაწონ იმისათვის, რომ თითოეული მომავალი ახალგაზრდა მუშა აღიზარდოს, როგორც სოციალისტური საზოგადოების მოქალაქე, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი;

— პროფესიულ-ტექნიკური განათლების ყველა მუშაკის ძალისხმევა მოახმარონ იმას, რომ მოსწავლენი ღრმა და საფუძვლიან ცოდნას იღებდნენ, თანამედროვე ეკონომიკურ აზროვნებას, მაღალპროფესიულ ოსტატობას და შრომისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას ავლენდნენ;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ კვალიფიციური მუშების მომზადებას ახალი ტექნიკის, კომპიუტერების, რობოტების, მიკროპროცესორულ საშუალებათა და მოქმედი ტექნოლოგიების გამოყენებით ავტომატიზებულ წარმოებათა შექმნისა და ექსპლუატაციისათვის.

3. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

— 1984 წელს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები გარდაქმნას ერთიანი ტიპის სასწავლებლებად — საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად, ამასთან შეუნარჩუნოს მათს მოსწავლეებს და მუშაკებს ადრე შესაბამის სასწავლებლებში დადგენილი შეღავათები, მატერიალური უზრუნველყოფის უპირატესობანი და პირობები.

განისაზღვროს, რომ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები კვალიფიციურ მუშებს საშუალო განათლებით ამზადებენ არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან, როგორც წესი, 3 წლის სწავლების ვადით და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთაგან 1 წლამდე სწავლების დიფერენცირებული ვადით მათი შრომითი მომზადებისა და პროფესიათა სირთულის გათვალისწინებით;

— საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საჭიროების შემთხვევაში შექმნას ცალკე ჯგუფები ახალგაზრდებისათვის, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო საშუალო განათლებას არ იღებენ, ფილიალები, საღამოს (ცვლის) განყოფილებანი, განახორციელონ მუშათა კადრების გადამზადება;

— სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოების, მშენებლობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებთან ერთად ფართოდ ჩაბას წარმოების სპეციალისტები, შრომის ვეტერანები და მოწინავეები საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებთან მუშაობაში, წაახალისოს მაღალკვალიფიციური მუშების ინიციატივა, რომლებიც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში გადადიან სამუშაოდ საწარმოო სწავლების ოსტატებად;

— საბჭოთა კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის თბილისის ფილიალში მოაწყოს იმ პირთა გადამზადება, რომლებიც სასწავლებლებში მოვიდნენ საწარმოო სწავლების ოსტატების თანამდებობაზე, ამასთან გადამზადების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის შესწავლას, მსმენელების მიერ საწარმოო სწავლებისა და მოსწავლეთა აღზრდის მეთოდიკის დაუფლებას.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო გაერთიანებამ 1984-1986 წლებში გადასცენ საუწყებო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემას.

5. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა და საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა ერთ თვეში მოამზადონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული წინადადებანი ზოგიერთი საშუალო სპეციალური სასწავლებლის დადგენილი წესით პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად გარდაქმნის შესახებ.

6. საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და გაერთიანებებმა აამაღლონ მოსწავლეთა პროფესიული მომზადების, უწინარეს ყოვლისა მათი საწარმოო სწავლების დონე, იღვაწონ საწარმოო შრომასთან სწავლების უფრო ღრმა და სრული შერწყმისათვის, უფრო ფართოდ გამოიყენონ პრაქტიკაში საწარმოო სწავლება სასარგებლო პროდუქციის გამოშვებაში, რთულ სახეობათა სამუშაოების შესრულებაში, როგორც წესი, საბაზო საწარმოთა შეკვეთით, მოსწავლეთა მონაწილეობის საფუძველზე, უზრუნველყონ, რომ მოსწავლეებს ჩაუნერგონ მტკიცე პრაქტიკული ჩვევები და ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოების ნოვატორთა გამოცდილების ეფექტიანი გამოყენების ცოდნა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლება და საწარმოო პრაქტიკა მოაწყონ საუკეთესო ბრიგადებისა და რგოლების შემადგენლობაში წარმოების მოწინავეების და ნოვატორების, შრომის ვეტერანებისა და გამოცდილი დამრიგებლების ხელმძღვანელობით.

მოსწავლეებს, რომლებიც ბრიგადების შემადგენლობაში გადიან საწარმოო პრაქტიკას, გამომუშავების ნორმების გადაჭარბებისათვის პრემიები აუნაზღაურონ უშუალოდ წარმოებაში.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და გაერთიანებებმა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ხუთწლიანი და წლიური სახელმწიფო გეგმების პროექტებში გაითვალისწინონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მიღება როგორც მთლიანად რესპუბლიკაში, ისე ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მიხედვით მუშათა კადრებზე სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების გათვალისწინებით, ამ მიზნით ყოველნაირად განამტკიცონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მომავალი ახალგაზრდა მუშების ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზდების ხარისხს, ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ორგანიზაციას, რასთან დაკავშირებითაც მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული რესპუბლიკის ყოველ ქალაქში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციის ცენტრის შექმნა.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოებმა გააფართოონ კავშირი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან, შრომითს კოლექტივებთან და მშობლებთან.

საბაზო საწარმოებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეებით პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტებაში, საჭირო პირობები შეუქმნან საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებს კვალიფიკაციის ამაღლებისა და განათლების განგრძობისათვის.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი სისტემატურად გააშუქონ პროფესიულ-ტექნიკური განათლების საუკეთესო პედაგოგიური კოლექტივების, საბაზო საწარმოების, სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მუშების მუშაობის გამოცდილება.

ნება დაერთოს საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, რომ № 111 პოლიგრაფიული საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ბაზაზე შექმნას ყოველკვირეული სასწავლო მრავალტირაჟიანი გაზეთი ამ მიზნისათვის ქალალდის დამატებითი ფონდის გამოუყოფლად.

8. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულმა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და გაერთიანებებმა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

— განახორციელონ 1986-1990 წლებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების ღონისძიებანი № 2-4 დანართების თანახმად;

— ახალი საწარმოებისა და გაერთიანებების მშენებლობისას და მოქმედთა გაფართოებისას ერთდროულად აშენონ გეგმით გათვალისწინებული საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, ამასთან უზრუნველყონ მათი საექსპლუატაციოდ გადაცემა პირველ რიგში.

9. საიდუმლო.

10. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— გააფართოონ კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების გადაცემისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პრაქტიკა პროფესიულ-ტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობაში, რეკონსტრუქციაში და ტექნოლოგიურ განახლებაში წილობრივი მონაწილეობის წესით;

— საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებში გაითვალისწინონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის თანამედროვე მოწყობილობის, მანქანების, მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების, სახალხო-სამეურნეო და სამელიორაციო ტექნიკის, საზომი, საჭრელი და სხვა ხელსაწყოების, საწვავ-საპოხი მასალების მიწოდება საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტისა და საბაზო საწარმოების განაცხადებით.

11. საბაზო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების შენობებისა და მოწყობილობის შეკეთება, შექმნან სასწავლო საამქროები და უბნები, რომლებიც საჭიროა მოსწავლეთა სწავლებისათვის, აგრეთვე მატერიალურად და ტექნიკურად უზრუნველყონ ამ სასწავლებლების სახელოსნოები.

12. იმ საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, რომლებმაც დაიკავეს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის აშენებული შენობები და სათავსები, 1984 წლის დამლევამდე დაუბრუნონ საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს.

13. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა:

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლად საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ქსელის შემდგომ განვითარებას და რაციონალურ განაწილებას, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადების სრულყოფას, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და

დასვენების საჭირო პირობების შექმნას და სახალხო-სამეურნეო წარმოებაში მათ დამკვიდრებას;

— უზრუნველყონ, რომ 1986-1990 წლებში იმ საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშათა კადრებს ამზადებენ, გამოუყონ მიწის ნაკვეთები — 2 ათასი ჰექტარი საერთო ფართობი ახალ სასწავლო მეურნეობათა შესაქმნელად და მოქმედთა გასაფართოებლად.

14. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სახმომარაგებამ უზრუნველყონ, რომ 1986-1990 წლებში იმ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს, რომლებიც სოფლის მეურნეობის კვალიფიციურ მუშებს ამზადებენ, გამოუყონ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა ტექნიკა № 5 დანართის თანახმად.

15. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით 1985 წლიდან გეგმაზომიერად მოამზადონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად პროფესიათა კვალიფიციური მუშათა კადრები.

16. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა უზრუნველყოს მეთორმეტე ხუთწლედში მცხეთის რაიონის სოფელ მამკოდას სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მშენებლობა და ამოქმედება „განათლების“ დარგისათვის გამოყოფილი კაპიტალური დაბანდების ხარჯზე.

საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა მიამაგროს ამ სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელს საბაზო საწარმო და უზრუნველყოს მისი შრომითი კოლექტივის მონაწილეობა მოსწავლეთა აღზრდასა და სწავლებაში.

17. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა:

— არასრული საშუალო და საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულთა განაწილების ერთიანი გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ მოსწავლეებით საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების დაკომპლექტება მიღების დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, ამასთან კონტროლი დაუწესონ ამ გეგმების შესრულებას;

— ეფექტიანი გავლენა მოახდინონ სასწავლო წლის დამდეგისათვის პროფესიულ-ტექნიკური განათლების ობიექტების მშენებლობასა და დროულ ამოქმედებაზე, კადრებით სასწავლებელთა განმტკიცებაზე, პროფესიულ-ტექნიკური

განათლების სისტემის მუშაკთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, პირველ რიგში გამოუყონ მათ საცხოვრებელი სათავსები.

18. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ, საბაზო საწარმოთა შრომითმა კოლექტივებმა:

— აქტიური მონაწილეობა მიიღონ კვალიფიციური მუშების მომზადებისა და აღზრდის ხარისხის გაუმჯობესებაში, მეტი კონტროლი გაუწიონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შრომითს მოწყობას და გამოყენებას მიღებული პროფესიისა და კვალიფიკაციის მკაცრი შესაბამისობით, სრულყონ სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაცია მოსწავლეთა კოლექტივებში და ინჟინერ-პედაგოგიურ მუშაკებს შორის;

— ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში, კოლექტიურ ხელშეკრულებებში გაითვალისწინონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მოსწავლეთა სწავლის, შრომის, ყოფა-ცხოვრების, დასვენებისა და გაჯანსაღების პირობების გაუმჯობესების, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედებისადმი მათი ინტერესის განვითარების ღონისძიებანი;

— გაზარდონ პროფკავშირული ორგანიზაციების როლი სოციალურად აქტიური მშრომელების ჩამოყალიბებაში, მუშათა კლასის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით მათს აღზრდაში.

19. რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემისათვის ინჟინერ-პედაგოგიურ კადრებზე გაზრდილი მოთხოვნების გამო სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წინაშე აღიძრას საკითხი, რომ თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმის ბაზაზე გაიხსნას ინჟინერ-პედაგოგიური ინსტიტუტი ამ სისტემის ინჟინერ-პედაგოგიური მუშაკების კვალიფიკაციის ამაღლების განყოფილებითურთ.

20. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა გაუძლიერონ შეფობა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს და ქმედითად დაეხმარონ მათ, გააძლიერონ მოსწავლეთა კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში მონაწილეობისათვის, მაღალი ზნეობრივი თვისებების ჩამოყალიბებისათვის, სწავლის შედეგებისათვის, სასწავლო და შრომის დისციპლინის დაცვისათვის.

21. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა ყოველნაირად აამაღლონ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის პრესტიჟი, მეტი კონტროლი გაუწიონ სამინისტროებისა და უწყებების, საბაზო საწარმოების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების საქმიანობას კვალიფიციური მუშების მომზადების გაფართოებისა და სრულყოფისათვის, მათი კომუნისტური აღზრდისათვის; უკეთ უხელმძღვანელონ სასწავლებლების პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, განამტკიცონ ისინი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილების მქონე კომუნისტებით, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ საწარმოო სწავლების ოს-

ტატებსა და საზოგადოებრივი დისციპლინების მასწავლებლებს შორის პარტიული ფენის გაძლიერებას.

* *
*

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება ხელს შეუწყობს კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადების დონის შემდგომ ამაღლებას და იმ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას, რომლებიც გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

68 საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ტრესტ „თბილყოფრემმშენში“ მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების მიხედვით ბინათშეკეთებამშენებლობის ნაწილში შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების ახალი სისტემის შემოსაღებად ექსპერიმენტის განხორციელების შესახებ

ბინათშეკეთება-მშენებლობისათვის მოსახლეობის შეკვეთების შესრულების ვადების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების, მუშაობის შედეგებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებისა და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ტრესტ „თბილყოფრემმშენის“ მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს შემოიღოს სამოქმედოდ 1985 წლის 1 იანვრიდან სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის შრომის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მიერ შემუშავებული დროებითი დებულება „მოსახლეობის შეკვეთების მიხედვით სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ტრესტ „თბილყოფ-

რემმშენის“ მუშაკთა შრომის ანაზღაურებისა და მატერიალური სტიმულირების სისტემის შესახებ.“

2. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ 1984 წლის 15 დეკემბრამდე შეიმუშაოს მოსახლეობის შეკვეთების მიხედვით შესასრულებელ ძირითად სახეობათა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების დროის საბაზო ნორმატივები.

3. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში ტრესტ „თბილყოფრემმშენის“ მუშაკთა ინიციატივის განვითარებისა და თავიანთი მუშაობის შედეგებით მათი დაინტერესების გაძლიერების მიზნით საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ უზრუნველყოს ტრესტში შრომის ბრიგადული ფორმის ფართოდ გამოყენება (წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით) მუშაობის საბოლოო შედეგისათვის შრომის ანაზღაურების უგანრიგო აკორდული სისტემის მიხედვით სამეურნეო ანგარიშის პრინციპების გამოყენებისა და შრომითი მონაწილეობის კოეფიციენტების მიყენებით კოლექტიური გამომუშავების განაწილებით.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დამატებით გამოუყოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1985 წელს შესაბამისი ხელფასის ფონდი ტრესტ „თბილყოფრემმშენის“ მიერ ექსპერიმენტის განსახორციელებლად.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გამოუყოს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომახურების სამინისტროს ტრესტს „თბილყოფრემმშენს“ ყოველწლიურად, მოყოლებული 1985 წლიდან, საბაზრო ფონდიდან 1 მილიონ მანეთამდე ღირებულების საშენი მასალები, დანართის თანახმად, ამასთან შესაბამისად შეუმცირდეს საქონელბრუნვის გეგმა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და გაუდიდდეს იგი საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომახურების სამინისტროს.

6. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ პირველ რიგში მისცეს ტრესტს „თბილყოფრემმშენს“ იმპორტული სანტექნიკური ნაკეთობანი, ლინოლეუმი, შპალერი, მოსაპირკეთებელი და მეტლახის ფილები საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროსათვის გამოყოფილი სამამულო წარმოების ზემოაღნიშნულ ნაკეთობათა ფონდების ფარგლებში.

7. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1959 წლის 19 სექტემბრის № 1120 დადგენილების და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 დეკემბრის № 821 დადგენილების შესაბამისად სამუშაოთა ნორმირების, კალკულაციების შედგენის გაუმჯობესების, სადეფექტო აქტების სწორად შედგენისადმი სისტემატური კონტროლისა და ტრესტის ეკონომიკური მაჩვენებლების შემუშავების, აგრეთვე შესრულებულ სამუშაოთა განრიგების შემოწმების მიზნით დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დამატებით გამოუყოს 1984 წელს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ტრესტს „თბილყოფრემმშენს“ მნორმავთა 10 საშტატო ერთეული და მათი შენახვის ზღვრულ ასიგნებათა შესაბამისი ლიმიტი.

8. საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ანგარიში ტრესტ „თბილყოფრემმშენის“ მიერ ექსპერიმენტის განხორციელების შედეგების შესახებ წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის ბოლომდე მისი მუშაობის შედეგების მიხედვით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 16 ოქტომბერი, № 745

69 ქალაქ თბილისის გამწვანების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში გაძლიერდა ყურადღება ქალაქ თბილისის გამწვანებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა განხორციელებისადმი.

მიმდინარე ხუთწლედში გაწეული მუშაობის შედეგად ქალაქის მწვანე ფონდს შეემატა ახალი პარკები, ბაღები, სკვერები, სკულპტურული ნაგებობებითა და მცირე არქიტექტურული ფორმებით დამშვენებული დეკორატიული კუთხეები.

ამავე დროს ქალაქის მასშტაბით ყოველწლიურად ათვისებული მწვანე მშენებლობის მოცულობა არასაკმარისია საერთო სარგებლობის მწვანე ნარგავების არსებული დეფიციტის შესავსებად.

თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება არსებული მწვანე ნარგავების ექსპლუატაციის დონე, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად იმით აიხსნება, რომ შექმნილი არაა ქალაქის მწვანე მეურნეობის გაძღოლის ერთიანი სისტემა.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველო, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს დარგის წინაშე დასახული ქალაქის გამწვანების ამოცანები, მმართველობის არსებული სტრუქტურის პირობებში მოკლებულია შესაძლებლობას განახორციელოს დაქვემდებარებული რგოლების ჯეროვანი ხელმძღვანელობა, კოორდინაცია და კონტროლი მწვანე ნარგავების ექსპლუატაციისადმი.

უკანასკნელ წლებში სამმართველომ გარკვეული მუშაობა განახორციელა ქალაქ თბილისის ოთხ რაიონში მწვანე ნარგავების ინვენტარიზაციისათვის. დანარჩენი რაიონების მწვანე ნარგავების საინვენტარიზაციო მონაცემების უქონლობა აძნელებს გამწვანების ექსპლუატაციის სამსახურების მუშაობას.

საქ. სსრ კ. მარქსის

ორანჟერეა-სანერგე მეურნეობის დამატებითი ფართობის საექსპლუატაციოდ გადაცემის შედეგად თბილისის საბაზისო სანერგემ გაადიდა ყვავილებისა და ხე-ბუჩქნარის პროდუქციის წარმოება.

ამასთანავე ამ დიდმნიშვნელოვან დარგში ჯერ კიდევ საკმარისი ყურადღება არ ექცევა წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის საკითხებს.

უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გადიდდა ქალაქში ყვავილებისა და დეკორატიული პროდუქციის საქონელბრუნვის გეგმა და ამ პროდუქციით მოვაჭრე წერტების რაოდენობა, მაგრამ მათი უმეტესობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ნაკლოვანებებია მომხმარებელთა მომსახურების საქმეშიც.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე მწვანე მეურნეობის საექსპლუატაციო და სამშენებლო სამსახურების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამორჩენა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ რა ქალაქ თბილისის გამწვანებასა და კეთილმოწყობას, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის, პარტიის რაიონული კომიტეტების, კომკავშირის თბილისის რაიონული კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო საწარმოების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს არსებული მწვანე ნარგავების მუდმივი მოვლის, მათი ფართოდ დაცვა-შენახვის, აგრეთვე ქალაქ თბილისის გამწვანების სამუშაოთა განხორციელების უზრუნველყოფა.

2. მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და ქალაქის ფარგლებში მწვანე მშენებლობის, მწვანე ნარგავების ექსპლუატაციისა და მწვანე ზონების კომპლექსური კეთილმოწყობის სამუშაოთა კოორდინაციისა და ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელების, საბიუჯეტო ასიგნებების, არსებული ტექნიკური საშუალებებისა და საწარმოო სიმძლავრეების რაციონალური გამოყენების მიზნით:

— შეიქმნას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს ბაზაზე მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანება, რომლის შემადგენლობაში გაერთიანების აპარატის სტრუქტურულ ქვედანაყოფებად შეყვანილ იქნენ გამწვანების რაიონული და საქალაქო საექსპლუატაციო კანტორები და ამავე დროს ისინი გარდაიქმნან გამწვანების შესაბამის რაიონულ საექსპლუატაციო სამსახურებად;

— დაექვემდებაროს მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანება თავის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომსა და საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს;

— ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა შრომის ანაზღაურების პირველი ჯგუფისათვის მიკუთვნების მაჩვენებლების ორჯერ და უფრო გადამეტებასთან დაკავშირებით დაუწესდეს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1974 წლის 24 დეკემბრის № 358/36 დადგენილების საფუძველზე თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს თანამდებობრივი სარგოების დანამატი 15 პროცენტის ოდენობით;

— შეიქმნას წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციის უზრუნველყოფის, საწარმოო სიმძლავრეებისა და შრომითი რესურსების რაც შეიძლება ეფექტიანი გამოყენების მიზნით მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს თბილისის არსებული საბაზისო სანერგის ბაზაზე დეკორატიულ კულტურათა საწარმოო კომბინატი და გადაეცეს მას გამწვანების რაიონული საექსპლუატაციო კანტორების არსებული საწარმოო ბაზები. დეკორატიულ კულტურათა საწარმოო კომბინატი უშუალოდ დაექვემდებაროს მწვანე მეურნეობის სპეციალიზებულ საწარმოო გაერთიანებას;

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს სანერგე მეურნეობა ლაგოდეხის რაიონში გადაეცეს საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს;

— შეიქმნას აღნიშნული სამმართველოს ამჟამად არსებული ავტომეურნეობის ბაზაზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გაერთიანების გზით მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმო;

— თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მშენებლობისა და საბაღე-საპარკო მეურნეობის საწარმოო სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, რომელიც ახორციელებს მწვანე ზონებისა და კომპლექსური კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას სრული საინჟინრო მოწყობით, დაერქვას თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების მწვანე მშენებლობისა და კომპლექსური კეთილმოწყობის სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველო.

რეორგანიზაცია მოხდეს მმართველობის აპარატის საშტატო რიცხოვნობისა და მისი შენახვისათვის გათვალისწინებულ ზღვრულ ასიგნებათა ლიმიტის ფარგლებში.

3. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

— დაამტკიცოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისა და მისდამი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მმართველობის აპარატის საშტატო განრიგი და ხარჯთაღრიცხვა;

— შეიმუშაოს ერთი თვის ვადაში დებულება მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების შესახებ და წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

— შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1985 წლის 1 ივნისამდე საერთო სარგებლობის მწვანე ობიექტების მშენებლობის 1986-1990 წლების გეგმა საერთო სარგებლობის ნარგავების არსებული დეფიციტის ლიკვიდაციის გათვალისწინებით;

— ყოველწლიურად განსაზღვროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით, მოყოლებული 1985 წლიდან, ახალი საცხოვრებელი რაიონების გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საიჯარო სამუშაოთა გეგმაში შესატანად;

— გამოყოს მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისათვის სამშენებლო-საგზაო ტექნიკა (ექსკავატორები, ბულდოზერები, ტრაქტორები) საკუთარი წლიური ფონდების ხარჯზე.

4. ქალაქის ფარგლებში არსებული და სამინისტროთა და უწყებათა ბალანსზე რიცხული მთელი მწვანე ტერიტორია (სპეციალური დანიშნულებისა და შეზღუდული სარგებლობის მწვანე ნარგავების გარდა) მათი მოვლისათვის საჭირო შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებებით, შრომის გეგმითა და გამწვანების გაძღოლის მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრული ასიგნებებით გადაეცეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას.

5. ნება დაერთოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას განახორციელოს შეზღუდული სარგებლობის მწვანე ნარგავების (სამრეწველო საწარმოთა, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების დაწესებულებათა ტერიტორია) მოვლა შემკვეთებთან დადებულ სახელშეკრულებო საწყისებზე.

6. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს 1985-1987 წლებში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის დამატებით ხელფასის ფონდის ლიმიტის გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით ქალაქ თბილისის რაიონებში მწვანე ნარგავების ინვენტარიზაციის ჩასატარებლად, წარდგენილ გაანგარიშებათა თანახმად;

— გაითვალისწინოს, მოყოლებული 1985 წლიდან, საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით კაპიტალურ დაბანდებათა გადაცემა სამინისტროებისა და უწყებების წილობრივი მონაწილეობი-

სათვის, ამასთან შეტანილ იქნეს ისინი საერთო სარგებლობის მწვანე მასივების კაპიტალური მშენებლობის საიჯარო სამუშაოთა გეგმაში, რომელთაც ახორციელებს მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანება პარკების მშენებლობის პროგრამის შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია მწვანე მშენებლობის გეგმით 1985 წელს, აგრეთვე მწვანე მშენებლობის 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმით, რომლის შემუშავება დაკისრებული აქვს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს;

— გაითვალისწინოს 1985-1986 წლებში მწვანე მშენებლობის სამუშაოთა მოცულობის გადიდებასთან დაკავშირებით თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის მანქანებისა და მოწყობილობის დამატებით გამოყოფა მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების საჭიროებისათვის, № 1 დანართის თანახმად.

7. საქართველოს სსრ სახმომარაგებამ გამოუყოს 1985 წელს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებისათვის მანქანები, მექანიზმები და მოწყობილობა, № 2 დანართის თანახმად.

8. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა:

— გაითვალისწინოს 1985 წელს და მომდევნო წლებში თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის შხამქიმიკატებისა და ორგანული სასუქების (ტორფი) გამოყოფა წარდგენილ გაანგარიშებათა შესაბამისად, აგრეთვე გაზონის ბალახების 20 ტონა თესლისა — მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების უზრუნველსაყოფად.

9. საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს ლაგოდეხის რაიონში განლაგებულ ახლად გადაცემულ სანერგე მეურნეობაში ხე-ბუჩქნარის ჯიშების დიდი ზომის სარგავი მასალის გამოზრდა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანების განაცხადების მიხედვით, სანერგის ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და მწარმოებლობის გათვალისწინებით;

— გამოუყოს მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას ტექნიკური დახმარების გაწევის წესით გამწვანების სამუშაოებისათვის დიდი ზომის წიწვოვანი და ფოთლოვანი ჯიშების ნერგები, მცირე მექანიზაციის საშუალებანი (ბენზინძრავიანი ხერხები), აგრეთვე ტყის ხე-ბუჩქნარის ჯიშების თესლი;

— სისტემატურად გაუწიოს მწვანე მეურნეობის საწარმოო გაერთიანებას დახმარება სანერგე მეურნეობებში ხე-ბუჩქნარის ჯიშების აგროტექნიკის გაძღოლის და მათი გაშენება-გამოზრდის თაობაზე მეთოდიკური მითითებებითა და შესაბამისი ლიტერატურით მომარაგების საკითხებში.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბოტანიკურ ბაღს გააძლიეროს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ქალაქ თბილისის ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში გასაშენებლად გამოსადეგი ძვირფასი ხე-ბუჩქნარის ჯიშების ინტროდუქციის დარგში და მისცეს თბილისის სახალხო

დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს რეკომენდაციები მათი გაშენება-გამოზრდისა და მწვანე მშენებლობისათვის გამოყენების შესახებ.

11. დაევალოთ რესპუბლიკური და თბილისის საქალაქო გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს სისტემატურად გააშუქონ ქალაქ თბილისის გამწვანებასთან დაკავშირებული საკითხები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 16 ოქტომბერი, № 748

70 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 1 თებერვლის № 59 დადგენილების მე-15 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 ნოემბრის № 1032 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივლისის № 607 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეჩაიეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 1 თებერვლის № 59 დადგენილების მე-15 პუნქტის მეორე და მესამე აბზაცები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 16 ოქტომბერი, № 750

71 საქართველოს სსრ მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 დეკემბრის № 868 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის დებულების მე-3 პუნქტში შემდეგი ცვლილებანი:

— მეორე აბზაცს დაემატოს შემდეგი შინაარსის ტექსტი:

„— ქალაქად და სოფლად მეორეული ნედლეულის შეგროვების, დამზადებისა და ჩაბარების სქემების სრულყოფა“;

— ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მე-6 აბზაცი:

„— პროდუქციის დანაკარგების შემცირება წარმოების, ტრანსპორტირების, შენახვის დროს და პროდუქციის ბუნებრივი დანაკლისის ნორმირების დაცვა“;

მე-10 აბზაცი:

„— მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების დარგში მოწინავე სამამულო და საზღვარგარეთული გამოცდილების გავრცელება სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მეშვეობით და პროპაგანდის სხვა ფორმების გამოყენებით“;

„— ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენებისათვის ეკონომიკური სტიმულირების პროგრესული ფორმების დანერგვა“;

მე-11 აბზაცი:

„— მატერიალური დანახარჯების შემცირება პროდუქციის წარმოებისათვის (შესასრულებელი სამუშაოებისათვის) და მათი გავლენა პროდუქციის (სამუშაოთა) თვითღირებულებაზე“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 14 აგვისტოს № 612 დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 8 დეკემბრის № 868 დადგენილების დანართი საქართველოს სსრ მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენების რესპუბლიკური საუწყებათაშორისო კომისიის შემადგენლობის შესახებ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ე. შევარდნაძე**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 ოქტომბერი, № 773

72 საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ პარტიისა და მთავრობის მთელ რიგ გადაწყვეტილებათა შესაბამისად რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა წარმოებს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის გასაუმჯობესებლად.

საბავშვო და საყმაწვილო წიგნების გამოცემა საერთოდ უზრუნველყოფს ამ ლიტერატურის აქტიურ ზემოქმედებას აღმზრდელობით პროცესზე, ნორჩ მკითხველთა თვალსაწიერის გაფართოებას და ესთეტიკურ აღზრდას, მოზარდი თაობისათვის მაღალი კომუნისტური იდეალების ჩანერგვას, ცოდნისადმი მისწრაფებას, შემოქმედებითი შრომის მოთხოვნილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკურმა გამომცემლობამ „ნაკადულმა“ გააუმჯობესა გამოცემათა თემატური დაგეგმვა ბავშვების ასაკობრივი კატეგორიების ინტერესების შესაბამისად, მეტ ყურადღებას უთმობს ქართული და რუსული კლასიკის, ფოლკლორული ნაწარმოებების, თანამედროვე ლიტერატურის, მათ შორის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოცემას. სამეცნიერო-პოპულარული და შემეცნებითი ლიტერატურა გამოდის სერიებით „ცოდნის კარი“, „ჯადოსნური სარკე“, „სერაფიტა“, „კომკავშირელის ბიბლიოთეკა“ და სხვ. ფართო პროპაგანდას უწევს ქართველ საბავშვო მწერალთა ნაწარმოებებს რუსულ ენაზე.

გამომცემლობანი „ალაშარა“ და „ირისტონი“ აფხაზურ და ოსურ ენებზე უშვებენ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას.

მიმდინარე წელს რესპუბლიკაში დაგეგმილია გამოიცეს 171 დასახელების საბავშვო და საყმაწვილო წიგნი.

საბავშვო და საყმაწვილო წიგნის პროპაგანდას, ნორჩ მკითხველთა საპოპულარიზატორო და აღმზრდელობით მუშაობას ითვალისწინებს აგრეთვე გამომცემლობა „ნაკადულთან“ არსებული საბავშვო წიგნის სახლის საქმიანობა.

გააქტიურა მუშაობა საქართველოს მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექციამ; უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შემოქმედებითი კავშირის წევრი გახდა 7 საბავშვო მწერალი.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ახორციელებს ღონისძიებებს გამომცემლობა „ნაკადულის“ მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად.

უმჯობესდება საბავშვო წიგნის მხატვრული გაფორმება. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეიქმნა რესპუბლიკის გამომცემლობათა მთავარი მხატვრების საბჭო, რომელიც კონტროლს უწევს წარმოების ყველა ეტაპზე გამოცემათა გაფორმებას და ტექნიკურ შესრულებას. ყოველწლიურად ეწყობა გამომცემლობათა გამოფენა-ანგარიშგებანი, რესპუბლიკური კონკურსი „წიგნის ხელოვნება“.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებისა და ორგანიზაციების ტექნიკურ-ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად ღონისძიებათა გეგმით, რომელიც რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებამ მიიღო (1984 წელი) და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწონა. გათვალისწინებულია რესპუბლიკაში წიგნის გამოცემის საქმის პოლიგრაფიული ბაზის ხელახალი აღჭურვა, რაც საშუალებას იძლევა 1985 წლიდან ყოველწლიურად გაიზარდოს საბავშვო წიგნების დასახელებათა რაოდენობა და ტირაჟი, გამოიცეს ისინი მრავალფერადოვანი შესრულებით. 1990 წლისათვის საბავშვო წიგნების დასახელებათა რიცხვი გაიზრდება დაახლოებით 30 ერთეულით, საერთო ტირაჟი კი 2-ჯერ და მეტად.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რამდენიმე წლის განმავ-

ლობაში, არაერთგზისი მითითებების მიუხედავად, რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა საბავშვო ლიტერატურის გამოცემა. ამის შედეგად რესპუბლიკაში გამოსული წიგნის პროდუქციის საერთო მოცულობის მიმართ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოშვება იმ საკონტროლო ციფრებზე ნაკლებია, რომლებსაც საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი ამტკიცებს, გამონაკლისი არ იყო არც მიმდინარე წელი: დაგეგმილია 12,3 პროცენტი, საკონტროლო ციფრია — 13,9 პროცენტი.

პოლიგრაფიული საწარმოები სისტემატურად ვერ ასრულებენ გამომცემლობა „ნაკადულის" ლიმიტებით გათვალისწინებულ გეგმას. 1983 წელს 1200 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახიდან აწყობილია 1040; 155 დასახელებიდან გამოშვებულია 119.

ბეჭდვის გეგმის შეუსრულებლობის გამო რესპუბლიკის ბიბლიოთეკებს სისტემატურად აკლდებათ შეკვეთილი წიგნები. მაგალითად, რესპუბლიკურმა ბიბკოლექტორმა 1982 წელს შეკვეთილი 560300 ეგზემპლარი წიგნიდან მხოლოდ 187167 ეგზემპლარი მიიღო; 1983 წელს 500600 ეგზემპლარის ნაცვლად მიიღო 163498 ეგზემპლარი. ამის გამო საოლქო, საქალაქო და რაიონულ ბიბლიოთეკებში ეროვნულ ენებზე საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის ფონდები საშუალო საკავშირო ნორმაზე მნიშვნელოვნად ნაკლებია.

ჯერ კიდევ მდარეა საბავშვო წიგნის მხატვრული და პოლიგრაფიული ხარისხი. საბავშვო წიგნზე მომუშავე პოლიგრაფისტები, გამომცემლები და მხატვრები ჯეროვნად ვერ აფასებენ იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას, როგორც მოზარდი თაობის იდეურ-ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე ქმედითს საშუალებას.

საკმაოდ აქტიური და მომთხოვნი ვერ არის ლიტერატურული კრიტიკა: უკანასკნელი წლების მანძილზე პერიოდულ პრესაში არ გამოქვეყნებულა რესპუბლიკაში გამოსული საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის რამდენადმე მნიშვნელოვანი მიმოხილვა, მთელი რიგი გამოცემული წიგნების შინაარსი და შესრულება კი ლიტერატურული კრიტიკის, შესაბამისი ჟურნალებისა და რესპუბლიკური გაზეთების რედაქციების კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს.

რესპუბლიკაში გამოშვებული საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის თემატიკისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გამოცემათა გაფორმებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ არ იღებენ აქტიურ მონაწილეობას საქართველოს მწერალთა კავშირი, საქართველოს მხატვართა კავშირი და რესპუბლიკის განათლების ორგანოები. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებებით დასახული ამოცანების შესრულებაში თავიანთი ადგილი ვერ გამოუნახავთ საბავშვო მწერლებს და გამომცემლობა „ნაკადულს".

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი, მწერალთა კავშირი, გამომცემლობა „ნაკადული" მეტ ყურადღებას უნდა უთმობდნენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ, ინტერნაციონალურ და პატრიოტულ თემატიკაზე საბავშვო და საყმაწვილო წიგნების ერთობლივ პერსპექტიულ დაგეგმვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის გამოცემის შემდგომი სრულყოფის, საბავშვო წიგნის შინაარსისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა:

— 1985 წლიდან დაწყებული გაითვალისწინოს გამომცემლობა „ნაკადულის" პროდუქციის, მათ შორის წიგნების დასახელებისა და მათი საშუალო ტირაჟის ყოველწლიური ზრდა იმ მოცულობათა საერთო ზრდის ხარჯზე, რომლებსაც რესპუბლიკის წიგნის გამოცემისათვის ითვალისწინებენ საკავშირო ორგანოები;

— განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი გამომცემლობა „ნაკადულის" რენტაბელური მუშაობის უზრუნველყოფისათვის;

— უზრუნველყოს პოლიგრაფიული საწარმოების მიერ „ნაკადულის" საგამომცემლო ლიმიტების ათვისება დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად;

— განიხილოს მრავალფერადოვანი საბავშვო წიგნების ტირაჟების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობანი ფერადი ბეჭდვის უბნების გაფართოების გზით;

— მოაწყოს საბავშვო წიგნზე მომუშავე გამომცემლების, ტექნიკური რედაქტორების, პოლიგრაფისტების და მხატვრების სტაჟირება ცენტრალურ გამომცემლობებში „დეტსკაია ლიტერატურა" და „მალიშში" სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით;

— საკავშირო მკითხველისათვის ეროვნული საბავშვო ლიტერატურის გამოშვების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს და სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტში შეიტანოს წინადადებანი გამომცემლობა „ნაკადულთან" რუსულ ენაზე ლიტერატურის რედაქციის შექმნის შესახებ;

— სხვა რესპუბლიკური გამომცემლობებისათვის თემატური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინოს მათი პროფილის შესაბამისად ყოველწლიურად საბავშვო და საყმაწვილო წიგნების გამოშვება;

— განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს კლასიკური საბავშვო ლიტერატურის, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების ხელახალ გამოცემას, რისთვისაც გაითვალისწინოს პერსპექტივისათვის სარეკომენდაციო ბიბლიოგრაფია;

— გამოსაცემად ახალი ნაწარმოებები უპირატესად დაგეგმოს საბავშვო და ახალგაზრდულ პერიოდიკაში მათი გამოქვეყნების შემდეგ; ნება დართოს იმ ნაწარმოებების მასობრივი ტირაჟის გამოშვებაზე, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს;

— პერსპექტიული თემატური დაგეგმვისათვის მუშაობაში მჭიდრო კონტაქტი დაამყაროს საქართველოს მწერალთა კავშირთან, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან და განათლების ორგანოებთან.

2. თემატური დაგეგმვის კოორდინაციის გაუმჯობესების, გამოშვებული წიგნის პროდუქციის ანალიზისა და მეთოდიკური რეკომენდაციის გამომუშავების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის რესპუბლიკური საბჭოს შექმნა, რომლის შემდგენლობაში შევლენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს მწერალთა კავშირის, საქართველოს მხატვართა კავშირის, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, გამომცემლობა „ნაკადულის", იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები.

3. საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ გააანალიზონ რესპუბლიკის საბავშვო ბიბლიოთეკების ფონდების მდგომარეობა და უზრუნველყოფის პრაქტიკა, მათი მონაწილეობა აღმზრდელობითს და მეთოდიკურ მუშაობაში; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში ბიბლიოთეკების მონაწილეობის გასააქტიურებლად.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა:

— 1986 წლის შრომის გეგმის პროექტის შედგენისას განიხილოს გამომცემლობა „ნაკადულისათვის" საავტორო ჰონორარის ფონდის გაზრდის საკითხი საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების თანახმად;

— განიხილოს გამომცემლობა „ნაკადულისათვის" „რაფის" მარკის მიკროავტობუსის გამოყოფის საკითხი.

5. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა 1986-1990 წლების ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენისას განიხილოს ქ. თბილისში გამომცემლობა „ნაკადულისათვის" შენობისა და ფერადი ბეჭდვის ფაბრიკის მშენებლობა.

6. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა განიხილოს საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის წინადადება ქალაქ „მზიურის" ტერიტორიაზე საბავშვო წიგნის სახლის ასაშენებლად ნაკვეთის გამოყოფის შესახებ.

7. საქართველოს მწერალთა კავშირმა რესპუბლიკაში საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარებისა და ფორმირების გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად განიხილოს გამომცემლობა „ნაკადულის" პერსპექტიული თემატური გეგმები, საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად რესპუბლიკის ლიტერატურულ-მხატვრული პერიოდული გამოცემების ფურცლებზე მოაწყოს გამოსული საბავშვო წიგნების პრინციპული განხილვები.

8. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეცენზიებსა და მიმოხილვებში, ტელე და რადიოგადაცემებში მუდმივი ყურადღება დაუთმონ საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების აქტუალურ საკითხებს, საბავშვო და საყმაწვილო წიგნების იდეურ-მხატვრულ დონეს.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ე. შევარდნაძე

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
დ. ქართველიშვილი

ქ. თბილისი, 1984 წ. 30 ოქტომბერი, № 774

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

73 კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომისათვის ადმინისტრაციული დაქვემდებარების შესახებ

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში მუშაობის სათანადო პირობების შექმნის, აგრეთვე მის ტერიტორიაზე განლაგებული შენობა-ნაგებობებისა და კომუნალური ობიექტების უკეთ ექსპლუატაციის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გარდაბნის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში არსებული კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე ადმინისტრაციულად დაექვემდებაროს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს.

2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა და თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღონ საქვეუწყებო ორგანიზაციათა ბალანსზე დანართში ჩამოთვლილი ობიექტები და განახორციელონ მათი შემდგომი ექსპლუატაცია.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომთან ერთად გაითვალისწინონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1985 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისას ზემოაღნიშნული ობიექტების შემდგომი ექსპლუატაციისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების, საშტატო ერთეულების, ხელფასის ფონდისა და სახსრების გამოყოფა არსებული ნორმატივების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 7 სექტემბერი, № 654

საქართველოს სსრ მინისტთარ საბჭოს
1984 წლის 7 სექტემბრის № 654 დადგენილების დანრათი

ნ უ ს ხ ა

კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში ექსპლუატაციაში არსებული ობიექტებისა

ობიექტების დასახელება	საბალანსო ღირებულება (ათასი მანეთი)	ვის ბალანსზე გადაეცემა
რესპუბლიკური პიონერული სკოლის 264-ადგილიანი სასწავლო კორპუსი	590,0	საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო
რესპუბლიკური პიონერული სკოლის 160-ადგილიანი საძინებელი კორპუსი	629,0	„
20 ხის 2-სართულიანი 4-ადგილიანი სახლი „ვარსკვლავთქალაქში“ . .	353,0	„
ქალაქის სუსტდენიანი ნეურნეობა	75,0	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო
მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი კაბელის ხაზი	6,0	თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი
ტრანსფორმატული ქვესადგური .	44,0	„
გარე ელექტროგანათება . . .	84,0	„
ქალაქის მხატვრული გაფორმების სამუშაოები, მათ შორის ძეგლები	184,0	„
ტერიტორიის კეთილმოწყობა . .	318,0	„
გასასვლელი გზები	347,0	თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომი
ქალაქის წყალსადენი . .	98,0	„
დაბალძაბვიანი კაბელის ხაზი . .	189,0	„
მოედნებისა და გზების კეთილმოწყობა	296,0	„
ტერიტორიის განაშენიანების ფართობი (36 ჰექტარი) . . .		
გაზსადენის სისტემა	59,0	საქართველოს სსრ გაზიფიკაციის სახელმწიფო კომიტეტი
ს უ ლ	3272,3	

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

74 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 607 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 14 ნოემბრის № 1032 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 607 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების სამუშაოების ნატურსაზღაურის გაუქმების, ამ პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების № 2 დანართის მარცვლეული კულტურების შესასყიდი ფასების ცხრილი, აგრეთვე ამავე დადგენილების № 3 დანართი სოიის შესასყიდი ფასის ნაწილში;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 238 დადგენილება „ხორბლისა და ჭვავის წარმოების და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გადიდებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“;

— მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 237 დადგენილებისა „მზესუმზირას თესლის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების ზომების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 14 ივლისის № 434 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 აპრილის № 237 და 238 დადგენილებათა ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების შესახებ“,

მე-4 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 4 აპრილის № 201 დადგენილებისა „ბოსტნეული, ბაღჩეული კულტურებისა და საკვები ძირხვენების ჯიშიან და ჰიბრიდულ თესლზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 11 დეკემბრის № 710 დადგენილებისა „სალუდე ქერის წარმოებისა და დამზადების გადიდების ღონისძიებათა შესახებ“;

— მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მესამე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 26 ნოემბრის № 774 დადგენილებისა „კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მეურნეობების მიერ უშუალოდ სავაჭრო ქსელისათვის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის, საბავშვო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებებისათვის მიყიდული რძისა და ნაღების ანგარიშსწორების შესახებ“ წლიური გეგმის გადამეტებით რძისა და ნაღების

მბყიდვისათვის შესასყიდი ფასების 5-პროცენტიანი დანამატის გაცემის ნაწილში;

— მე-6 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 25 ივნისის № 439 დადგენილებისა „ბარდის წარმოებისა და შესყიდვის გადიდების დამატებით ღონისძიებათა შესახებ".

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 15 ივნისის № 607 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— მე-2 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 29 ივნისის № 490 დადგენილებისა „მეცხოველეობაში სანაშენო საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა და სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა ხელოვნური დათესვლის შემდგომი განვითარების შესახებ" (უშუალოდ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ჯიშთსაშენებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის გეგმების დაწესების ნაწილში), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 9 სექტემბრის № 501 დადგენილებით;

— 1-ლი პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის № 627 დადგენილებისა „დამამზადებელი ორგანიზაციების მიერ პირუტყვის, ფრინველის, ბოცვრისა და კვერცხის მიღების, შენახვისა და გაცემის წესის, აგრეთვე ჯიშიანი პირუტყვის, ტყისა და სხვა ფრინველის შესყიდვის შესახებ სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაერთიანების თაობაზე" (ზეგეგმითი შესყიდვის დავალებათა ნაწილში), რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 9 სექტემბრის № 504 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 7 სექტემბერი, № 659

75 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 მაისის № 270 დადგენილების მე-3 პუნქტის ნაწილობრივ ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„ტერიტორიული დაგეგმვის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 3 აგვისტოს № 832 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გალადაკარგულად ჩაითვალოს მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მეორე აბზაცი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 მაისის № 270 დად-

გენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 14 იანვრის № 21 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

2. ძიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 3 აგვისტოს № 832 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალა მე-3 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 ივლისის № 643 დადგენილებისა, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი ,1984 წ. 11 სექტემბერი, № 664

76 „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დროის აღრიცხვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 თებერვლის № 91 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

„სსრ კავშირის ტერიტორიაზე დროის აღრიცხვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 ოქტომბრის № 925 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 სექტემბრის № 967 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „სსრ კავშირის ტერიტორიაზე დროის აღრიცხვის წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 24 ოქტომბრის № 925 დადგენილების 1-ლი პუნქტის პირველი აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 სექტემბრის № 967 დადგენილებით შეიცვალა და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. დაწესდეს, რომ სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებს დროის აღრიცხვის შემდეგი წესი: სასარტყლო დრო პლუს 1 საათი (მუდმივად წლის განმავლობაში), ამასთან ყოველწლიურად საათის ისრის დამატებით გადაწევა მარტის უკანასკნელ კვირადღეს 2 საათზე 1 საათით წინ და სექტემბრის უკანასკნელ კვირადღეს 3 საათზე 1 საათით უკან“.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს აღნიშნული დადგენილების შესასრულებლად დამტკიცდეს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დროის აღრიცხვის

წესის დანერგვის ღონისძიებათა გეგმა და ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 9 თებერვლის № 91 დადგენილებით დამტკიცებული ღონისძიებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 22 სექტემბერი, № 672

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 22 სექტემბრის № 672 დადგენილებით

ᲒᲔᲒᲛᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 13 სექტემბრის № 967 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დროის აღრიცხვის ახალი წესის დანერგვის ღონისძიებებისა

ღონისძიებანი	შემსრულებელი	შესრულების თარიღი
აღნიშნული დადგენილების მიხედვით ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის განხორციელება, სატელევიზიო და რადიოგადაცემათა ციკლების ორგანიზაცია, მასალების გამოქვეყნება პრესაში	საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციები	ყოველწლიურად
რესპუბლიკის ქალაქების, რაიონული ცენტრების, დაბების ქუჩებსა და მოედნებზე არსებული ყველა საათის გადაწევა მარტის უკანასკნელი კვირადღის 2 საათზე 1 საათით წინ და სექტემბრის უკანასკნელი კვირადღის 3 საათზე — 1 საათით უკან	საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრო	ყოველწლიურად
სამსახურებრივ და საწარმოო სადგომებში არსებული ყველა საათის ანალოგიური გადაწევა	რესპუბლიკის სამინისტროები, უწყებები, ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები	ყოველწლიურად
მატარებლების, თვითმფრინავების, ავტობუსების მოძრაობის გრაფიკების შეპირაპირება მარტის უკანასკნელ კვირადღეს და სექტემბრის უკანასკნელ კვირადღეს დროის გარდამავალი პერიოდის გათვალისწინებით	აშიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველო, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	ყოველწლიურად

77 საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის ინსტრუქციაში დამატების შეტანის შესახებ

სამკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღებისათვის სახელმწიფო სანოტარო კანტორების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 23 ივნისის № 455 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედების შესრულების წესის ინსტრუქციის 88-ე პუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„თუ სახელმწიფო სანოტარო კანტორაში შემოვიდა საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ან მოქალაქეებისაგან წერილობითი შეტყობინება იმის შესახებ, რომ მარტოხელა მოქალაქეთა გარდაცვალების შემდეგ დარჩა ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული მნიშვნელობის და იმ პირთათვის ნაანდერძევი ქონება, რომლებიც კანონით მემკვიდრეთა წრეს არ განეკუთვნებიან, სახელმწიფო ნოტარიუსი მოვალეა მიიღოს ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება ამ ქონების აღსაწერად.

იმ შემთხვევაში, თუ ანდერძით მემკვიდრენი უარს ამბობენ წარადგინონ ეს ქონება აღსაწერად, სახელმწიფო ნოტარიუსი განუმარტავს მათ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 559-ე მუხლს, შეადგენს აქტს ქონების აღსაწერად წარდგენაზე უარის შესახებ და იმავე დღეს უგზავნის შეტყობინებას ამის შესახებ პროკურატურის ორგანოებს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 25 სექტემბერი, № 677

78 საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესახებ.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 1 აპრილის № 179 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ. 28 სექტემბერი, № 690

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 28 სექტემბრის № 690 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო არის რესპუბლიკური სამინისტრო, ხელმძღვანელობს მისთვის მინდობილ მმართველობის დარგებს, ახორციელებს დარგთა შორის მართვას და ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებები, საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიები, საქვეუწყებო საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები ქმნიან საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ერთიან სისტემას.

3. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა მეშვეობით ხელმძღვანელობს საქართველოს სს რესპუბლიკაში სოციალური უზრუნველყოფის მთელ საქმიანობას.

ამის შესაბამისად, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ეკისრება:

ა) ხელმძღვანელობის გაწევა პენსიებისა და დახმარებების დანიშვნისა და გაცემისადმი სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების შესაბამისად;

ბ) საექიმო-შრომითი ექსპერტიზის მოწყობა შრომისუნარიანობის მუდმივი ან ხანგრძლივი დაკარგვის (ინვალიდობის ჯგუფის) დასადგენად და შრომისუნარიანობის დაკარგვის ხარისხის (პროცენტებში) განსასაზღვრავად;

გ) ღონისძიებათა განხორციელება ინვალიდთა პროფესიული სწავლების და შრომითი მოწყობის, აგრეთვე პენსიონერების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების და მათი ოჯახის წევრების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად;

დ) მოსახლეობისათვის საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების გაწევა;

ე) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებსა და პანსიონატებში მყოფ მოქალაქეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება;

ვ) საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების, საქართველოს ყრუთა საზოგადოების, პენსიონერთა ურთიერთდამხმარე სალაროების საქმიანობისადმი საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი.

4. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო:

ა) ხელმძღვანელობს და ახორციელებს კონტროლს პენსიებისა და დახმარებების დანიშვნისადმი, აყენებს საკითხებს, რომ გაუქმდეს ან გადაისინჯოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული პენსიების დამნიშვნელი კომისიების, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის სახელმწიფო დახმარებების დამნიშვნელი კომისიების გადაწყვეტილებანი, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მოქმედ კანონმდებლობას; კონტროლს უწევს მრავალშვილიანი დედებისათვის საპატიო წოდების „გმირი დედის“ მისანიჭებლად და „სახელოვანი დედის“ ორდენით და „დედობის მედლით“ დასაჯილდოებლად წარდგინების მომზადებას და გაფორმებას, აწესებს საპენსიო მოწმობების ფორმებს;

ბ) ხელმძღვანელობს საექიმო-შრომითს ექსპერტიზას საქართველოს სს რესპუბლიკაში, შეიმუშავებს და გამოსცემს მეთოდურ მითითებებს საექიმო-შრომითი ექსპერტიზის შესახებ, კონტროლს უწევს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობას როგორც უშუალოდ, ისე სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით. უზრუნველყოფს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა გადასინჯვას და გაუქმებას;

გ) ქმნის საორგანიზაციო მეთოდურ განყოფილებას, რომელიც სამინისტროს სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფებთან ერთად შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს სოციალური უზრუნველყოფის რაიონული და საქალაქო განყოფილებების საორგანიზაციო მეთოდური მუშაობის განუწყვეტელი სრულყოფისათვის, პრაქტიკულ დახმარებას უწევს რაიონებს მოსახლეობის მომსახურების კულტურის ამაღლებაში;

დ) ქმნის სასწავლებლებსა და საწარმოებს ინვალიდთა პროფესიულ-ტექნიკური სწავლებისათვის და მათ მიერ სხვა პროფესიების შესასწავლად. ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს ინვალიდთა სწავლებას სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებსა, დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და კოლმეურნეობებში;

ე) ახორციელებს კონტროლს პერსონალური პენსიონერების მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებისადმი, აძლევს საპენსიო წიგნაკებს იმ პირებს, რომლებსაც დაენიშნებათ საკავშირო ან რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია და გასცემს ამ პენსიებს დადგენილი წესით, ახორციელებს კონტროლს ადგილობრივი მნიშვნელობის პერსონალური პენსიების გაცემისადმი;

ვ) ამოწმებს როგორც უშუალოდ, ისე თავისი ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ინვალიდთა, პენსიონერთა, მათი ოჯახის წევრთა, მრავალშვილიან და მარტოხელა დედათა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს და კონტროლს უწევს, რომ სრულად ისარგებლონ მათ კანონით დაწესებული შეღავათებითა და უპირატესობებით;

ზ) ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებებთან არსებულ პენსიონერთა ურთიერთდახმარების სალაროების ტიპურ წესდებას;

თ) შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებსა და პანსიონატებში მყოფ მოქალაქეთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ი) გეგმავს და უზრუნველყოფს რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ, მომარაგებას და ახორციელებს კონტროლს რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი მნიშვნელობის სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციისადმი;

კ) ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლებლების (სასწავლო-საწარმოო ტექნიკური სკოლების, სასწავლო საწარმოებისა და სხვა), მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებისა და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად, დადგენილი წესით შეიმუშავებს ამ დაწესებულებებში სახსრების ხარჯვის ნორმატივებს;

ლ) აწყობს მოსახლეობაში ფართო ახსნა-განმარტებითს მუშაობას სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

მ) აწარმოებს მშრომელთა მიღებას, განიხილავს მათ წერილებს, განცხადებებსა და საჩივრებს და იღებს საჭირო ზომებს ამ წერილების, საჩივრებისა და განცხადებების მიხედვით;

ნ) წარმართავს საგეგმო-საფინანსო მუშაობას სამინისტროს სისტემაში, ადგენს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა ქსელისა და კონტინგენტის განვითარების წლიურ და პერსპექტიულ გეგმებს, შეიმუშავებს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის;

ო) ადგენს საფინანსო გეგმებს მთლიანად სამინისტროს სისტემისათვის და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის ცალ-ცალკე, ამტკიცებს მათ ხარჯთაღრიცხვას და ახორციელებს კონტროლს მისი შესრულებისადმი;

პ) ქმნის და ხელმძღვანელობს იურიდიულ სამსახურს, მისი მეშვეობით ზედამხედველობას უწევს სამეურნეო საქმიანობას, სოციალისტური საკუთრების დაცვას, მართლწესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი ნორმების სწორად განხორციელებას სოციალური უზრუნველყოფის, საქართველოს უსინათლოთა და საქართველოს ყრუთა საზოგადოებების სისტემებში;

ჟ) ხელმძღვანელობს და კონტროლს უწევს პენსიებისა და დახმარებების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკურ ცენტრს;

რ) აწყობს და აკონტროლებს საპროთეზო-ორთოპედიულ ნაკეთობათა წარმოებას და აწესებს ამ ნაკეთობებით მოსახლეობის მომარაგების წესს.

ხელმძღვანელობს დაქვემდებარებულ საპროთეზო-ორთოპედიულ ქარხანას და სასწავლო საწარმოებს, ნერგავს აღნიშნულ საწარმოებში ახალ, მოწინავე

ტექნიკას, უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიას, საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ახორციელებს ღონისძიებებს შრომის დასაცავად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მისი თვითღირებულების შესამცირებლად, ხელმძღვანელობს მუშაობას შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების დარგში, ხელს უწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებას;

ს) ხელმძღვანელობს მოწინავე გამოცდილების შესწავლას, განაზოგადებს და ნერგავს მას სოციალური უზრუნველყოფის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ტ) იღებს ზომებს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების კადრების შესარჩევად, გადასამზადებლად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, შეიმუშავებს და ახორციელებს ღონისძიებებს ამ მხრივ სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების საქმიანობის სრულსაყოფად, ამოწმებს მათ მუშაობას და აძლევს მითითებებს მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

უ) აფინანსებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს და სოციალური უზრუნველყოფის იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სამინისტრო ახორციელებს;

ფ) აწარმოებს სტატისტიკურ და საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას სამინისტროს სისტემაში, ახორციელებს საფინანსო კონტროლს, ატარებს დოკუმენტურ რევიზიებს საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში;

ქ) დადგენილი წესით ქმნის, გარდაქმნის და აუქმებს მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს;

ღ) ამტკიცებს საწარმოების, მშენებლობების, მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატების, სასწავლებლების და სოციალური უზრუნველყოფის სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტრუქტურას და ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის შტატებს, სამინისტროსათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი პერსონალის რიცხვისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთის დაცვით;

ყ) დადგენილი წესით ამყარებს კავშირურთიერთობას სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებებთან;

შ) მონაწილეობს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებისადმი მიძღვნილი იმ ლიტერატურის გამოცემის გეგმების შემუშავებაში, რომელიც რესპუბლიკის გამომცემლობებმა უნდა გამოუშვან. გამოსცემს (როგორც გამომცემლობების მეშვეობით, ისე სამინისტროს გრიფით) ნორმატიული აქტების კრებულებს, ბიულეტენებს, მეთოდურ წერილებს, სტატისტიკურ კრებულებსა და სხვა საცნობარო ლიტერატურას.

5. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას;

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების შესრულებას, რომლებიც ეხება სამინისტროს საქმიანობას, წარმოუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განსახილველად კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე;

გ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებებისა და სადირექტივო წერილების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, ორგანიზაციას უწევს და ამოწმებს მათ შესრულებას;

დ) აჩერებს ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს და აუქმებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა ბრძანებებს, სოციალური უზრუნველყოფის სხვა საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ბრძანებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, აგრეთვე საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების ბრძანებებისა და ინსტრუქციების გაუქმების საკითხი განსახილველად შეაქვს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში.

ე) დადგენილი წესით ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, აგრეთვე სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკებს, რესპუბლიკური (საქართველოს სსრ) დაქვემდებარების სოციალური უზრუნველყოფის სისტემის საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს, ამტკიცებს სამინისტროს სამმართველოების და განყოფილებების, აგრეთვე სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების დებულებებს, ინსტრუქციებს, წესდებებს;

ვ) აჯამებს შესაბამის პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და აჯილდოებს გამარჯვებულებს გარდამავალი დროშით, სამკერდე ნიშნით, „საპატიო სიგელით“ და ა. შ.

ზ) შეაქვს ცვლილებანი სამინისტროს სტრუქტურაში და ამტკიცებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის საშტატო განრიგს სამინისტროს აპარატისათვის დამტკიცებული შტატისა და ხელფასის თვიური ფონდის ფარგლებში ისე, რომ დაცულ იქნეს თანამდებობრივი განაკვეთების სქემები.

6. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში იქმნება კოლეგია მინისტრის (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეების, სა-

მინისტროსა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ხელმძღვანელ მუშაკთა შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის წარდგენით ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის საკითხებს, სოციალური უზრუნველყოფის საქმიანობის ხელმძღვანელობის ძირითად საკითხებს, მოხსენებებს სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებების, განყოფილებებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული საწარმოების მუშაობის გამოცდილების შესახებ, აგრეთვე კადრების შერჩვის, განაწილებისა და აღზრდის, სამინისტროს ნომენკლატურის მუშაკთა დანიშვნისა და განთავისუფლების საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანესი ბრძანებებისა და ინსტრუქციების პროექტებს, ისმენს სამინისტროს სამმართველოებისა და განყოფილებების, ავტონომიური რესპუბლიკების სოციალური უზრუნველყოფის მინისტრების, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებათა გამგეების ანგარიშებს.

კოლეგიის დადგენილებები ხორციელდება მინისტრის ბრძანებით.

მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. კოლეგიის წევრებს თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. სოციალური უზრუნველყოფის მუშაკთა მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისა და გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო დადგენილი წესით იწვევს აქტივის თათბირებს, რომლებზეც ისმენენ და განიხილავენ მოხსენებებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა შესახებ, სამინისტროს სახელმძღვანელო მითითებებს, აგრეთვე კრიტიკულად და თვითკრიტიკულად მსჯელობენ სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობასთან დაკავშირებულ კონკრეტულ საკითხებზე.

8. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს აქვს ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

79 საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სანერგე საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გარდაქმნის შესახებ[1]

საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სანერგე საბჭოთა მეურნეობების ტრესტის საქმიანობის სფეროს გაფართოებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორასთან, და გარდაიქმნას სანერგე საბჭოთა მეურნეობების ტრესტი ნერგების წარმოების რესპუბლიკურ საწარმოო გაერთიანებად — „საქნერგი“, ამასთან დარჩეს იგი აღნიშნული კომიტეტის დაქვემდებარებაში.

2. სანერგე საბჭოთა მეურნეობების ტრესტის გარდაქმნა მოხდეს ტრესტისათვის დაწესებული მუშაკთა რიცხოვნობის ლიმიტის, ხელფასის ფონდისა და მმართველობის აპარატის შენახვის ზღვრულ ასიგნებათა ფარგლებში.

3. დამტკიცდეს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქნერგის“ აპარატის თანდართული სტრუქტურა და მუშაკთა რიცხოვნობა.

4. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს რესპუბლიკური საწარმოო გაერთიანება „საქნერგის“ დებულება და შტატები ამ დადგენილებით დამტკიცებული აპარატის მუშაკთა რიცხოვნობის და ამჟამად ტრესტისათვის დაწესებული აპარატის მუშაკთა ხელფასის ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟვანია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ., 28 სექტემბერი, № 692

80 „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის დაწესების შესახებ

ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს შორის დისციპლინის განმტკიცების, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დაცვისა და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის მათი პასუხისმგებლობის გაზრდის და სტიმულირების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1) დანართი არ ბეჭდვა

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის წინადადება და დაწესდეს სამკერდე ნიშანი „უავარიო მართვისათვის“, რომლითაც დაჯილდოვდებიან საზოგადოების წევრები საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვისათვის.

2. დამტკიცდეს „უავარო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის თანდართული ნიმუში და განისაზღვროს 1984-1985 წლებისათვის მისი დამზადების ტირაჟი 20 ათასი ცალის ოდენობით.

3. დამტკიცდეს „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის დებულება.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგან საქმეთა და სახელმწიფო ავტოინსპექციის საქალაქო და რაიონულ ორგანოებს მისცეს მითითებანი იმის შესახებ, რომ დაიცვან აღნიშნული დებულების მოთხოვნები და ინდივიდუალური სატრანსპორტო საშუალებების იმ მძღოლთა უფლებები, რომლებიც დაჯილდოებული იქნებიან სამკერდე ნიშნით „უავარიო მართვისათვის“.

5. საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა და საქართველოს სსრ შინგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველომ:

— განახორციელონ ღონისძიებანი საზოგადოების რაიონული და საქალაქო საბჭოების და სახელმწიფო ავტოინსპექციის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის გასააქტიურებლად იმ მიზნით, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული შესაძლებლობანი საზოგადოების წევრების — სატრანსპორტო საშუალებათა ინდივიდუალური მფლობელების წასახალისებლად საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების ზუსტად დაცვისათვის და სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილებისათვის;

— ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებს შორის ფართო პოპულარიზაცია გაუწიონ „უავარო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებულ საზოგადოების წევრთა დადებითს გამოცდილებას და მიაღწიონ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილების საქმეში საერთო შედეგების გაუმჯობესებას;

— მკაცრი კონტროლი გაუწიონ „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის დებულების სწორ გამოყენებას და პერიოდულად განიხილონ იმ მუშაობის შედეგები, რომელსაც ამ მხრივ გასწევენ ნებაყოფლობითი საზოგადოების ადგილობრივი საბჭოები და საქალაქო და რაიონული შინაგან საქმეთა ორგანოების სახელმწიფო ავტოინსპექციები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ. 28 სექტემბერი, № 693

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 28 სექტემბრის № 693 დადგენილებით

„უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის

ნ ი მ უ შ ი

სატრანსპორტო საშუალებათა „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშანი მრგვალი ფორმისაა, დიამეტრი — 15 მმ, ცენტრში გამოსახულია მსუბუქი ავტომობილი: III ხარისხის ნიშანზე — ცისფერი, II ხარისხისა — ღია მწვანე, I ხარისხის ნიშანზე — ნარინჯისფერი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 28 სექტემბრის № 693 დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამკერდე ნიშნისა „უავარიო მართვისათვის“

I. ზოგადი დებულებანი

1. ავტოსატრანსპორტო საშუალებათა „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშანი დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 28 სექტემბრის № 693 დადგენილებით საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრთა დასაჯილდოებლად.

2. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშანი დაწესებულია სამი ხარისხისა და ამ ნიშნით დაჯილდოება ხდება შემდეგი წესით:

— III ხარისხის „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები, რომლებსაც აქვთ საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითს საზოგადოებაში ყოფნის სულ ცოტა სამი წლის უწყვეტი სტაჟი, ხუთი წლის განმავლობაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების გარეშე საკუთარი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის.

დაჯილდოება ხდება საზოგადოების საქალაქო და რაიონული საბჭოების გადაწყვეტილებით საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების წარდგენით;

— II ხარისხის „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან მანამდე III ხარისხის სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები, რომლებსაც აქვთ საზოგადოებაში ყოფნის სულ ცოტა ექვსი წლის უწყვეტი სტაჟი, ათი წლის განმავლობაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევების გარეშე თავიანთი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის.

დაჯილდოება ხდება საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისისა და ქუთაისის საბჭოების პრეზიდიუმების გადაწყვეტილებით საზოგადოების შესაბამისი რაიონული და საქალაქო საბჭოების წარდგენით, ხოლო რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში — საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით საზოგადოების ადგილობრივი საბჭოების წარდგენით;

— I ხარისხის „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით ჯილდოვდებიან მანამდე III და II ხარისხის სამკერდე ნიშნებით დაჯილდოებული ინდივიდუალურ სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელები, რომლებსაც აქვთ

საზოგადოებაში ყოფნის სულ ცოტა ათი წლის უწყვეტი სტაჟი, თხუთმეტი წლის განმავლობაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გარეშე ავტოტრანსპორტის მართვისათვის.

სამკერდე ნიშნით აჯილდოებს საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო (ავტონომიური ოლქი), საქალაქო და რაიონული საბჭოების წარდგენით.

3. ავტომობილებისა და მოტოციკლების მართვის საერთო დროის გამოანგარიშებისას არ ითვალისწინებენ იმ დროს, როცა:

— მძღოლს არ ჰყავდა საკუთარი სატრანსპორტო საშუალება;

— მფლობელს სატრანსპორტო საშუალება ჰყავდა მორიგი ტექნიკური შემოწმების გავლის გარეშე;

— მფლობელი ხანგრძლივ მივლინებაში (3 თვეზე მეტი) იყო სატრანსპორტო საშუალების გარეშე.

4. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დასაჯილდოებლად საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ზემდგომ საბჭოებში წარდგენილ უნდა იქნეს შემდეგი მასალები:

— დაჯილდოების ფურცელი დადგენილი ფორმით № 1 დანართის თანახმად;

— საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ადგილობრივი საბჭოს შუამდგომლობა დაჯილდოების შესახებ;

— ერთი 3X4 სმ ზომის ფოტოსურათი.

5. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნები მზადდება საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს შეკვეთით; აქვს მრგვალი ფორმა, დიამეტრი — 15 მმ, ცენტრში გამოსახულია მსუბუქი ავტომობილი: III ხარისხის სამკერდე ნიშანზე — ცისფერი, II ხარისხისა — ღია მწვანე, I ხარისხის სამკერდე ნიშანზე — ნარინჯისფერი.

II. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის გადაცემის წესი

6 .„უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშანსა და მის მოწმობას დაჯილდოებულს საზეიმო ვითარებაში გადასცემს საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების საბჭოს ხელმძღვანელობა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის წევრთა საერთო კრებაზე, კონფერენციაზე ან საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე.

7. სამკერდე ნიშანთან და მოწმობასთან ერთად „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრს შეიძლება გადაეცეს ფასიანი საჩუქარი ან ფულადი პრემია, აგრეთვე გადასაღები ნიშანი ავტომობილზე ან მოტოსაშუალებაზე აღსაბეჭდად. ამ მიზნისათვის გაწეული ხარჯები საზოგადოების პირველადს ორგანიზაციებს ეკისრებათ.

8. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნების გაცემა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნება-

ყოფლობითი საზოგადოების საბჭოებში რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამკერდე ნიშნების გაცემის რეგისტრაციის დავთარში დადგენილი ფორმით № 2 დანართის თანახმად;

9. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატი გაიცემა მხოლოდ საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პრეზიდიუმის ან საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელმაც დააჯილდოვა სამკერდე ნიშნით საზოგადოების წევრი.

III. „უავარიო მარვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრთა მოვალეობანი

10. ნებისმიერი ხარისხის „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები ადგილზე არ დაისჯებიან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის, თუ ამას არ მოჰყვა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა და ტრანსპორტს ნასვამი არ მართავდა. მათ მიერ საგზაო წესების დარღვევის ფაქტებს სახელმწიფო ავტოინსპექციის ორგანოების წარდგენით განიხილავენ სამკერდე ნიშნის გამცემი საზოგადოების ორგანიზაციები.

11. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები სარგებლობენ საზოგადოების კუთვნილ სამრეცხაო პუნქტებში, ტექნიკური მომსახურებისა და ავტოტრანსპორტის სარემონტო სახელოსნოებში, საკონსულტაციო ბიუროებში, აგრეთვე საზოგადოებისა და ტურიზმის და ექსკურსიების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს სადგომებზე და ავტოტურისტთა დასასვენებელ ბაზებში ადგილების მიღებისას პირველ რიგში მომსახურების უფლებით, შეუძლიათ პირველ რიგში გაატარონ რეგისტრაციაში, მიიღონ ან გამოცვალონ ტექნიკური პასპორტი.

12. ავტომოტოტრანსპორტს, რომლებიც „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებს ეკუთვნით, ვოლჟსკის მსუბუქი ავტომობილების წარმოების გაერთიანების საქართველოს „ავტოტექმომსახურების“ რესპუბლიკური სპეციალიზებული სამმართველოს ტექნიკური მომსახურების სადგურებში და საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის ავტოგასაწყობ სადგურებში პირველ რიგში ემსახურებიან სპეციალური ავტომობილების (სასწრაფო დახმარების, სახანძრო, მილიციის) შემდეგ.

13. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრები მოვალენი არიან დაიცვან საგზაო-სატრანსპორტო დისციპლინა, დღენიადაგ დახვეწონ თავიანთი სამძღოლო ოსტატობა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების პროპაგანდისათვის განმარტებითს მუშაობაში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის თავიდან აცილებაში.

14. „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნით დაჯილდოებულ საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრს შეიძლება სამკერდე ნიშანი ჩამოერთვას პრეზიდიუმის ან იმ საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელმაც დააჯილდოვა იგი, თუ მისი მიზეზით მოხდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, თუ ნასვამი მართავდა ტრანსპორტს ან დაარღვია საზოგადოების წესდების მოთხოვნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 28 სექტემბრის № 693 დადგენილებით დამტკიცებული „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნის დებულების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ვ თ ა რ ი

საქართველოს სსრ ავტომოყვარულთა ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრებისათვის „უავარიო მართვისათვის“ სამკერდე ნიშნების გაცემის რეგისტრაციისა

(სამკერდე ნიშნის გამცემი საბჭოს დასახელება)

სამკერდე ნიშნით დაჯილდოებული საზოგადოების წევრის სახელი, მამის სახელი, გვარი	პირველადი ორგანიზაციის ან საბჭოს დასახელება, რომელმაც დასაჯილდოებლად წარმოადგინა	სამკერდე ნიშნით დაჯილდოების შესახებ საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი	რომელი ხარისხის სამკერდე ნიშანი მიეცა ავტომობილისტს, მოტოციკლისტს	გაცემის თარიღი

81 სახლ-ინტერნატებში და შინ მცხოვრებ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ გარკვეული მუშაობა განახორციელა სახლ-ინტერნატებში და შინ მცხოვრებ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

სამინისტრომ შეიმუშავა თითოეული სახლ-ინტერნატის განვითარების 1982-1985 წლების კომპლექსური გეგმები, რომელთა შესაბამისად ძლიერდება მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უმჯობესდება მოხუცებულთა და ინვალიდთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურება, ფართოვდება და მტკიცდება სახლ-ინტერნატებთან არსებული დამხმარე მეურნეობები. სამინისტროს კოლეგიაზე განხილულია სახლ-ინტერნატების საქმიანობის 29 საკვანძო საკითხი, რასაც კონკრეტული შედეგები მოაქვს მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების გაუმჯობესების საქმეში.

ამასთანავე სახლ-ინტერნატებში და შინ მცხოვრებ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურებაში არსებითი ნაკლოვანებები და გადაუჭრელი პრობლემებია. მეტი წილი შენობები, რომლებშიც მოთავსებულია სახლ-ინტერნატები, განუწყვეტლივ საჭიროებს კაპიტალურ რემონტსა და რეკონსტრუქციას. სახლ-ინტერნატები უწინდებურად დაუკომპლექტებელია ექიმთა კადრებით, ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი სამედიცინო დაწესებულებები საკმარის დახმარებას არ უწევენ მათ, სისტემატურად ირღვევა სხვადასხვა სპეციალობის ექიმთა მიერ კონსულტაციების ჩატარების გრაფიკები.

მიუხედავად საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ მიღებული ზომებისა, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირისა და საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს სავაჭრო ორგანიზაციები არარიტმულად და არასაკმარისი მოცულობით ამარაგებენ სახლ-ინტერნატებს ბოსტნეულით, ხორცით, თევზით, რძის პროდუქტებით, კვერცხით.

გაფართოებასა და განმტკიცებას მოითხოვს სახლ-ინტერნატებთან არსებული დამხმარე მეურნეობები. საჭიროა გადიდდეს შრომითს თერაპიაში ჩაბმულ მოხუცებულთა და ინვალიდთა რაოდენობა.

თერჯოლისა და ცხინვალის სახლ-ინტერნატებში ნაკლოვანებებია მოხუცებულთა და ინვალიდთა კვების ორგანიზაციაში, აქ მომზადებული კერძები ერთფეროვანია, დიეტური კვებით არ არის უზრუნველყოფილი ყველა მათგანი, ვისაც ასეთი კვება ესაჭიროება.

შემდგომ ამაღლებას მოითხოვს საშუალო სამედიცინო პერსონალის, კვების ბლოკების მუშაკთა და მომსახურე პერსონალის სხვა წარმომადგენელთა კვალიფიკაცია.

სახლ-ინტერნატებს საკმარის დახმარებას არ უწევენ შეფი ორგანიზაციები, მათ შორის მცხეთის რაიონის ნატახტარის საბჭოთა მეურნეობა, კასპის

რაიონის ოკმის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, ხელვაჩაურის რაიონის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, თერჯოლის რაიონის რუფოთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანა“, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა“.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები არ მუშაობენ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ (ამხ. გარდაფხაძე):

— მოხუცებულთა და ინვალიდთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით მოაწყოს და უზრუნველყოს ინვენტარითა და საჭირო მედიკამენტებით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად სამედიცინო კაბინეტები (ფიზიოთერაპიული, სტომატოლოგიური, სამკურნალო ფიზკულტურისა, გინეკოლოგიისა);

— მიაღწიოს კვების, მათ შორის დიეტური კვების, ორგანიზაციის თანამიმდევრულ გაუმჯობესებას მოხუცებულთა და ინვალიდთა ასაკისა და ფიზიკური მდგომარეობის გათვალისწინებით;

— სისტემატურად გაგზავნოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე დიეტდები და კვების ბლოკების მუშაკები;

— გააფართოოს და განამტკიცოს სახლ-ინტერნატებთან არსებული დამხმარე მეურნეობები, გამოიყენოს მიღებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია ძირითადად მოხუცებულთა და ინვალიდთა საკვებად;

— მიიღოს კონკრეტული ზომები შინ მცხოვრებ მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების უსწრაფესი გაფართოებისათვის და აიყვანოს 1984 წლის ბოლომდე მომსახურებულთა რაოდენობა 120, ხოლო 1985 წლის ბოლომდე — 200 კაცამდე.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ამხ. ლეჟავა) უზრუნველყოს 1984 წლის ბოლომდე სახლ-ინტერნატების სრული დაკომპლექტება კვალიფიციურ ექიმთა კადრებით, შეიმუშაოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად 1985-1990 წლებისათვის ამ დაწესებულებებში მცხოვრებ მოხუცებულთა და ინვალიდთა სამედიცინო მომსახურების ორგანიზაციის გაუმჯობესების კომპლექსური გეგმა.

3. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. ხარატიშვილი) დააჩქაროს შრომის ვეტერანთა სახლ-ინტერნატის მშენებლობა ბაზალეთის ტბასთან, უზრუნველყოს გამოყოფილი სახსრების ყოველწლიური ათვისება და დაამთავროს მშენებლობა 1986 წელს.

4. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ (ამხ. ქაჯაია), ცეკავშირის გამგეობამ (ამხ. შავიშვილი), საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ (ამხ. ჯაბადარი) უზრუნველყონ სახლ-ინტერნატების რიტმული მომარაგება კვების პროდუქტებით წარდგენილი განაცხადებისა და არსებული ნორმატივების თანახმად.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა (ამხ. ჩხეიძე) განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს გამოეყოს ლიმიტები ფერიის სახლ-ინტერნატის ტერიტორიაზე 100-ადგილიანი კორპუსის (პროექტის თანახმად), ქუთაისის 200-ადგილიანი სახლ-ინტერნატის (არსებული პროექტის მიხედვით), თერჯოლისა და მცხეთის სახლ-ინტერნატების ტერიტორიაზე 300-ადგილიანი კორპუსების ასაშენებლად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 23 დეკემბრის № 935 დადგენილების შესასრულებლად.

6. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა (ამხ. მგელაძე):

— გადაწყვიტოს სახლ-ინტერნატებთან არსებულ დამხმარე მეურნეობათა გაფართოებისა და განმტკიცების, მათ შორის სავარგულებისა და შესაბამისი ტექნიკის დამატებით გამოყოფის საკითხი;

— საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად უფრო ფართოდ ჩააბას მოხუცებულები და ინვალიდები შრომითს თერაპიაში, სოფლის მეურნეობაში, ამასთან მოაწყოს სამედიცინო კონტროლი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მათი მუშაობის დაწესებული რეჟიმისადმი.

7. სოციალური უზრუნველყოფის სახლ-ინტერნატებს დაერქვას პანსიონატები და ამიერიდან ეწოდოთ: ფერიის მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატი, კამანის მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატი, ცხინვალის მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატი, ქუთაისის მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატი, მცხეთის ფსიქონევროლოგიური პანსიონატი, თერჯოლის ფსიქონევროლოგიური პანსიონატი, კასპის ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატი, ცხაკაიას ბავშვთა ფსიქონევროლოგიური პანსიონატი.

8. დაევალოს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს განიხილოს საკითხი ქუთაისის სახლ-ინტერნატის ბაზაზე შინ მცხოვრებ პენსიონერთა მომსახურების ორგანიზაციის შესახებ.

9. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ ქუთაისის, თერჯოლის, კასპის, მცხეთისა და ცხაკაიას რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს განიხილონ სახლ-ინტერნატებში მოხუცებულთა და ინვალიდთა მომსახურების მდგომარეობის საკითხები და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, პროდუქტებით მომარაგების, დამხმარე მეურნეობათა განვითარების, საშეფო მუშაობის გაძლიერების საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჯითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ. 2 ოქტომბერი, № 703

82 საავტორო გასამრჯელო დეკორატიული ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის და მრეწველობაში გამოყენებისათვის (ტირაჟირებისათვის)

მაღალი მხატვრული ღირსების სამრეწველო ნაკეთობაზე მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საავტორო გასამრჯელოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა (ნიმუშების, მოდელების, ეტალონების, ნახატების, ესკიზების) შექმნისა და მრეწველობაში გამოყენებისათვის ავტორებს უხდიან საწარმოები (ორგანიზაციები) მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ხოლო ტირაჟირებისათვის — ასევე ხელფასისა და პრემიების ხასიათის მიუხედავად — ამ ნაწარმოებთა ავტორებს პროდუქციის თვითღირებულების ხარჯზე.

2. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს ხელშეკრულების მიხედვით საწარმო უნაზღაურებს ავტორს ნაწარმოების შემდგომი ტირაჟირების მიუხედავად.

მხატვრებთან, რომლებიც მათი ნაწარმოებების მატირაჟირებელი საწარმოების (ორგანიზაციების) შტატში არიან და მათს სამსახურებრივ მოვალეობაში შედის ტირაჟირებისათვის გათვალისწინებული ნიმუშების შექმნა, ამ ნიმუშების შექმნაზე საავტორო ხელშეკრულება არ დაიდება და დასატირაჟებელი ნიმუშების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელო არ მიეცემათ.

3. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში ტირაჟირებისათვის საავტორო გასამრჯელო მიეცემათ მხოლოდ ახალი, შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნაწარმოებებისათვის, ორიგინალებისათვის, რომლებსაც შესაბამისი სამხატვრო საბჭოები მიიღებენ და შეაფასებენ.

საავტორო გასამრჯელოს ოდენობის დასადგენად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშებს იღებენ და აფასებენ სამხატვრო საბჭოები:

ა) სამინისტროებში, უწყებებსა ან ორგანიზაციებში — დაქვემდებარებულ საწარმოებში ტირაჟირებისათვის. სამინისტროების, უწყებებისა და საწარმოების იმ სამხატვრო საბჭოების სიებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან მიიღონ და შეაფასონ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტორო უფლებათა რესპუბლიკურ სააგენტოსთან და საქართველოს მხატვართა კავშირთან შეთანხმებით.

თუ მოცემულ სამინისტროს ან უწყებას არა აქვს სამხატვრო საბჭო, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს და შეაფასოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ორგანიზაციის (საწარმოს) წერილობითი შუამდგომლობით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს

მიიღებენ და შეაფასებენ საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის, მისი საწარმოებისა და ორგანოების შესაბამისი სამხატვრო საბჭოები, რომლებიც ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მიერ დამტკიცებული სამხატვრო საბჭოს დებულებით;

ბ) საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის, მისი საწარმოების და ორგანოებისა — დაქვემდებარებულ საწარმოებში ტირაჟირებისათვის.

4. თუ მხატვრის მიერ შექმნილი მოდელი რეგისტრირებულია როგორც სამრეწველო ნიმუში, ავტორს ამ დადგენილების ნორმებით საავტორო გასამრჯელო არ ეძლევა.

5. ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებზე, რომლებიც გამოშვებულია 1984 წლის 1 სექტემბრის შემდეგ.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის და გამოყენებისათვის (ტირაჟირებისათვის), რომელთა გამოშვება 1984 წლის 1 სექტემბრამდე დაიწყო და ამ დადგენილების მიღების შემდეგაც გრძელდება, ავტორს საავტორო გასამრჯელო ამ დადგენილების მიხედვით ეძლევა, თუ არსებობს შესაბამისი სამხატვრო საბჭოების გადაწყვეტილება.

6. დამტკიცდეს თანდართული:

ინსტრუქცია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და მრეწველობაში მათი ტირაჟირებისათვის საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების შესახებ;

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშის პასპორტის ტიპობრივი ფორმა;

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები;

სამხატვრო საბჭოს ტიპობრივი დებულება.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ 1967 წლის 12 დეკემბრის № 735 დადგენილება „დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში გამოყენებისათვის საავტორო გასამრჯელოს შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1984 წ. 5 სექტემბერი, № 707

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 5 სექტემბრის № 707 დადგენილებით

ინსტრუქცია

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის და მრეწველობაში ტირაჟირებისათვის საავტორო გასამრჯელოს ანაზღაურების წესის შესახებ

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება — ეს არის ისეთი საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადების ხელოვნება, რომლებსაც მხატვრული ღირსება აქვთ და გათვალისწინებულია გარემოს ესთეტიკური ორგანიზაციისათვის, პრაქტიკული გამოყენებისათვის ან ინდივიდუალური და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობათა გაფორმებისათვის, ტანსაცმლისა და ყოველდღიური სარგებლობის საგნების გალამაზებისათვის.

სამხატვრო საბჭოების გადაწყვეტილებით დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებს შეიძლება განეკუთვნოს კერამიკის, მინის, პლასტმასის (ვაზები, ჭურჭელი და სხვ.), ლითონის (ლითონქანდაკება, სხმული), ხის (მოჩუქურთმება, მოხატვა), ტექსტილის, ძვლის, ქვის შემოქმედებითად დამოუკიდებელი ნიმუშები, საიუველირო ნაკეთობა, სათამაშოები და სხვა ნაკეთობანი.

1. ტირაჟირებისათვის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშები იქმნება ხელშეკრულებების შესაბამისად, რომლებიც დაიდება მხატვარ ავტორსა და იმ საწარმოს შორის, რომელიც ტირაჟირებას ახორციელებს.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნაზე ტიპობრივ საავტორო ხელშეკრულებას საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელი ამტკიცებს საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოსთან შეთანხმებით.

საავტორო ხელშეკრულება არ დაიდება იმ შემთხვევაში, თუ ავტორი საწარმოს (ორგანიზაციის) შტატშია და მის სამსახურებრივ მოვალეობაში შედის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ახალი ნიმუშების შექმნა.

2. მატირაჟირებელი საწარმო (ორგანიზაცია) ან მხატვარი ავტორი სამხატვრო საბჭოს წარუდგენენ ნიმუშს (მოდელს, ეტალონს, ნახატს, ესკიზს) და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების პასპორტის ბლანკს სამ ეგზემპლარად.

სამხატვრო საბჭომ სამი თვის ვადაში უნდა განიხილოს ნიმუში და დაუბრუნოს საწარმოს (ორგანიზაციას) ან ავტორს, რომლისგანაც ნიმუში მიიღო.

ახალ, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შემოქმედებითად დამოუკიდებელ ნაწარმოებად ცნობის შესახებ სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება საფუძველს წარმოადგენს იმისათვის, რომ გაფორმდეს პასპორტი და ავტორს მიეცეს გასამრჯელო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების

შექმნისათვის. სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება მოკლედ ჩამოყალიბდება პასპორტში, რომელსაც შემდეგ ნაკეთობის გამომშვები საწარმო (ორგანიზაცია) შეავსებს.

თუ სამხატვრო საბჭომ ნიმუში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ახალ, შემოქმედებითად დამოუკიდებელ ნაწარმოებად არ სცნო, გადაწყვეტილება შეაქვთ სამხატვრო საბჭოს ოქმში, ხოლო ამ ნიმუშის პასპორტი არ ფორმდება და ავტორი გასამრჯელოს ვერ მიიღებს ტირაჟირებისათვის ამ ინსტრუქციის ნორმების მიხედვით.

თუ სადავო გახდა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ავტორის გასამრჯელოს ოდენობის დადგენის თაობაზე სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებებთან, აგრეთვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების განსაზღვრასთან (ე. ი. ახალ, შემოქმედებითად დამოუკიდებელ ნაწარმოებად ცნობასთან) სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილების მართებულობას ამოწმებს საქართველოს მხატვართა კავშირი, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

პასპორტის პირველი ეგზემპლარი, რომელშიც მოცემულია სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება, საწარმოში ინახება, მეორე გადაეცემა საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკურ სააგენტოს, მესამე — ავტორს.

3. მრეწველობაში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების იმ ნაწარმოებთა ტირაჟირებისათვის, რომლებიც შექმნეს მხატვრებმა, რომელნიც საწარმოს შტატში არ არიან, ან მხატვრებმა, რომლებიც საწარმოს შტატში არიან, მაგრამ მათს სამსახურებრივ მოვალეობაში არ შედის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების შექმნა (შტატგარეშე მხატვრები), საავტორო გასამრჯელო გამოიანგარიშება ნაწარმოების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს თანხიდან, რომელიც დაწესებულია სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით ამ დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად.

იმ მხატვრების მიერ შექმნილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში ტირაჟირებისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობა, რომელთა სამსახურებრივ მოვალეობაში შედის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნა, იანგარიშება ძირითადი საავტორო გასამრჯელოს თანხიდან, რომელსაც პირობითად განსაზღვრავს სამხატვრო საბჭო და მეორე ტირაჟის გამოსვლიდან გაიცემა.

ამასთან ნაწარმოების პირველი ტირაჟისათვის გასამრჯელო გაიცემა ნაწარმოების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს თანხის 50 პროცენტის ოდენობით, მეორე ტირაჟისათვის — 30 პროცენტის, მესამე ტირაჟისათვის — 20 პროცენტის, მეოთხე და ყველა მომდევნო ტირაჟისათვის — 10-10 პროცენტის ოდენობით.

4. ერთ ტირაჟად ჩაითვლება პროდუქციის (ნიმუშის მიხედვით დამზადებული ნაკეთობის) ის რაოდენობა, რომელსაც საწარმო (ორგანიზაცია) კალენდარული წლის თითოეულ კვარტალში უშვებს. კვარტალური ვადის გასვლის შემდეგ პროდუქციის გამოშვება ახალ ტირაჟად ითვლება გამოშვებული ეგზემპლარების რაოდენობის მიუხედავად.

ნაკეთობათა ტირაჟის ოდენობას, რომლებსაც საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის სისტემის საწარმოები უშვებენ, ადგენს საქართველოს მხატვართა კავშირი.

5. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა მრეწველობაში ტირაჟირებისათვის საავტორო გასამრჯელოს გადახდა საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს მეშვეობით ხდება იმ საწარმოს უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, რომელიც ტირაჟირებას ახორციელებს.

საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ მოითხოვონ მთელი საჭირო დოკუმენტაცია და კონტროლი გაუწიონ, თუ რამდენად სწორად უნაზღაურებენ ავტორს თითოეულ ტირაჟს.

6. ყოველი ტირაჟისათვის საავტორო გასამრჯელო უნდა გაიცეს არა უგვიანეს ორი კვირისა ტირაჟის დადგენილი ნორმით გამოშვებიდან. ტირაჟებს აღრიცხავს საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტო.

7. თუ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებს, რომელიც წარმოებისათვის მიიღო ერთმა საწარმომ (ორგანიზაციამ), შემდეგ სხვა საწარმოები (ორგანიზაციები) ატირაჟებენ, ეს უკანასკნელნი მოვალენი არიან განსაზღვრონ ტირაჟის მორიგი რიგითი ნომრისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობა ძირითადი საავტორო გასამრჯელოს საფუძველზე, რომელიც სამხატვრო საბჭომ დაადგინა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების შექმნისათვის.

ორ სხვადასხვა საწარმოში (ორგანიზაციაში) არასრული ტირაჟების შეჯამება დაუშვებელია იმ შემთხვევების გარდა, როცა ერთი საწარმო (ორგანიზაცია) ნაწარმოებს ტირაჟირებისათვის გადასცემს სხვა საწარმოს და თვითონ წყვეტს ამ ნაწარმოების ტირაჟირებას.

8. შტატიანი მხატვრის მიერ შექმნილი ნიმუში საწარმოს საკუთრებაა. შტატგარეშე მხატვრის მიერ ტირაჟირებისათვის წარმოდგენილი ნიმუში ავტორის საკუთრებაა და საჭიროების ვადის გასვლის შემდეგ მას უბრუნდება იმ პირობით, რომ ავტორი საწარმოს გადაუხდის ნიმუშის საწარმოო თვითღირებულებას.

თუ საწარმო შტატგარეშე მხატვრის მიერ წარმოდგენილი ესკიზის ან შტატიანი მხატვრის მიერ შექმნილი ნიმუშის (ან ესკიზის) მიხედვით ამზადებდა ნაკეთობას, ავტორს უფლება აქვს მიიღოს საწარმოო თვითღირებულების ფასად ნაკეთობის ერთი სატირაჟო ნიმუში, თუ იგი დამზადებული არ არის ძვირფასი ლითონებისაგან ან პატიოსანი თვლებისაგან, აგრეთვე ძვირადღირებული ბეწვეულისაგან.

9. თუ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები თანაავტორობით არის შექმნილი, თანაავტორებს შორის საავტორო გასამრჯელოს განაწილების შესახებ შეთანხმება შეიძლება ფიქსირებული იყოს უშუალოდ პასპორტში.

თუ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები შექმნილია შტატიანი და შტატგარეშე მხატვრების თანაავტორობით, სამხატვრო საბჭო, იღებს რა გადაწყვეტილებას თანაავტორებს შორის საავტორო გასამრჯელოს განაწილების შესახებ, ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლით. ამასთან შტატიანი მხატვრის გასამრჯელოს წილი პირობითად განისაზღვრება და ფიქსირდება პასპორტში და სამხატვრო საბჭოს ოქმში.

10. თუ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ტირაჟირებას ორგანიზაცია (საწარმო) სხვა ორგანიზაციის შეკვეთით ახორციელებს, საავტორო გასამრჯელოს მრეწველობაში დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ტირაჟირებისათვის შემკვეთი ორგანიზაცია გადაუხდის.

11. საწარმოს (ორგანიზაციის) შტატგარეშე ავტორს უფლება აქვს ნაწარმოები ტირაჟირებისათვის გადასცეს სხვა საწარმოს (ორგანიზაციას), თუ ნაწარმოების მიღების დღიდან ერთი წლის განმავლობაში საწარმოს (ორგანიზაციას), რომელთანაც ავტორს დადებული აქვს ხელშეკრულება, არ დაუწყია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ნიმუშის ტირაჟირება.

12. *საჭიროების შემთხვევაში* საწარმო (ორგანიზაცია) ავტორს გამოუყოფს სამუშაო სათავსს, აგრეთვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ნიმუშის შექმნისათვის საჭირო მოწყობილობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 5 სექტემბრის № 707 დადგენილებით

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ნიმუშის

პ ა ს პ ო რ ტ ი

ნაწარმოების ნიმუშის მხატვარ-ავტორის (თანაავტორის) გვარი, სახელი და მამის სახელი _____

შტატიანია თუ უშტატო მხატვარი _____

მხატვარ-ავტორის მისამართი _____

ნაწარმოების სახეობა და პირობითი სახელწოდება _____

_____

_____

ნაწარმოების ტირაჟირება დაიწყო (წელი, თვე, რიცხვი) _____

_____

ნაწარმოების ნიმუშის შექმნისათვის გასამრჯელოს ოდენობა _____

_____

საწარმოს დირექტორი: მხატვარ-ავტორი:

_____ (ხელმოწერა) _____ (ხელმოწერა)

ბეჭედი

სამხატვრო საბჭოს დასახელება და მისი დასკვნა _____

_____

_____

ოქმი № _____ „ “ _____ 198 წ.

საწარმოს დასახელება, რომელსაც მიეცა პასპორტი _____

_____

საწარმოს მისამართი _____

_____

დანართი: ორიგინალის ფოტო

სამხატვრო საბჭოს
თავმჯდომარე (ხელმოწერა)

მდივანი (ხელმოწერა)

ბეჭედი

პასპორტის გაცემის თარიღი

პასპორტი შედგენილია 3 ეგზემპლარად:

1 — საწარმოსათვის;
1 — საქართველოს სსრ საავტორო უფლებების რესპუბლიკური სააგენტოსთვის;
1 — ავტორისათვის.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 5 სექტემბრის № 707 დადგენილებით

საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის

ზოგადი ნაწილი

1. ამ განაკვეთებით გათვალისწინებულია სხვადასხვა მასალებისაგან დამზადებული როგორც უნიკალური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების, ისე ტირაჟირებისათვის გათვალისწინებული ეტალონების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი.

2. დაპროექტების სტადიები და სამუშაოთა შედგენილობა ნაწარმოებთა სახეობის მიხედვით მოყვანილია ამ განაკვეთების შესაბამის განყოფილებებში.

3. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობას შესაბამისი სამხატვრო საბჭო აწესებს, ჩვეულებრივ, საშუალო ოდენობით, მხატვრული ღირსების, კომპოზიციური და კოლორიტული გადაწყვეტის სირთულისა და ორიგინალობის, დეკორატიული ნახაზის სირთულის მიხედვით. მაქსიმალური განაკვეთები წესდება მხოლოდ მაღალმხატვრული და უნიკალური ნიმუშებისათვის.

4. გამონაკლის შემთხვევებში, როცა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები განსაკუთრებით ორიგინალურად არის გადაწყვეტილი, სამხატვრო საბჭოს უფლება აქვს დააწესოს სპეციალური შეფასება, ცხრილში მოცემული შესაბამის განაკვეთებზე მეტი, 100 პროცენტის ფარგლებში. სპეციალურ შეფასებას საქართველოს მხატვართა კავშირის სამდივნო ამტკიცებს.

5. კომპოზიციური და კოლორიტული გადაწყვეტის ვარიანტები ანაზღაურდება პირველი ნაწარმოებისათვის დაწესებული გასამრჯელოს 60-დან 80 პროცენტამდე ოდენობით.

6. განმეორებანი (არა უმეტეს 9 ეგზემპლარისა) ანაზღაურდება პირველი ნაწარმოებისათვის დაწესებული გასამრჯელოს 50 პროცენტამდე ოდენობით.

7. ტირაჟირებისათვის გათვალისწინებული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების პროექტების შემუშავებისას ავტორმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ტექნოლოგიური შესაძლებლობა, შესაბამისი მოწყობილობისა და მასალების არსებობა. ტირაჟირებისათვის გათვალისწინებული ეტალონების მიღებისას საწარმოს საწარმოო შესაძლებლობანი სამხატვრო საბჭოს ოქმში აისახება.

8. ამ განაკვეთებით გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობა ტირაჟირებისათვის განკუთვნილი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისათვის.

უნიკალური ნაწარმოებების ანაზღაურებისას იყენებენ შესაბამის ცხრილის განაკვეთს, რომელიც კოეფიციენტს 1,5-მდე ზრდის.

9. უნიკალური დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც შესრულებულია მასალით, ანაზღაურდება შესაბამისი ცხრილის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც 1,5-მდე ზრდის კოეფიციენტს.

10. გამონაკლის შემთხვევებში ავტორს სამხატვრო საბჭოსთან შეთანხმებით შეუძლია გვერდი აუაროს ესკიზისა და მოდელის შექმნის სტადიას და შეასრულოს ნაწარმოები მასალით. საავტორო გასამრჯელო ასეთ შემთხვევაში მთლიანად გაიცემა მასალით შესრულებული ნაწარმოების სამხატვრო საბჭოს მიერ მიღების შემდეგ.

11. ამ განაკვეთებით გათვალისწინებულია ერთეული გამოცემების შექმნის გასამრჯელო.

ნაკრებები, კომპლექტები, სერვიზები და ა. შ. ანაზღაურდება თითოეული ფორმისათვის, რომელსაც ორიგინალური გადაწყვეტა აქვს.

ერთიანი სტილური გადაწყვეტის შემუშავება ანაზღაურდება ნაკრებისათვის, კომპლექტისათვის, სერვიზისათვის დაწესებული გასამრჯელოს 30 პროცენტამდე ოდენობით.

12. მასალების ღირებულება და სხვა საწარმოო ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მასალით ნაწარმოების დამზადებასთან, ამ განაკვეთებში არ შედის.

საწარმო, რომელმაც ავტორს დაავალა ნაწარმოების შექმნა, მოვალეა უზრუნველყოს იგი ყველა საჭირო მასალით, ხელსაწყოთი, მოწყობილობით და ა. შ., ან აუნაზღაუროს მას საწარმოო ხარჯები დადგენილი წესით შედგენილი ანგარიშების წარმოდგენის შემდეგ.

13. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშები, რომლებიც სამხატვრო საბჭომ მიიღო და ავტორს აუნაზღაურდა, საწარმოს საკუთრებაა.

14. საწარმო უზრუნველყოფს, რომ დამამტკიცებელ ინსტანციებს წარუდგინოს საჭირო რაოდენობის ნიმუშები.

15. ამ განაკვეთების შესაბამისად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის გასამრჯელო გაიცემა შემდეგი განყოფილებებით:

I განყოფილება — ლითონის ნაკეთობანი;

II განყოფილება — კერამიკის ნაკეთობანი;

III განყოფილება — მინის ნაკეთობანი;

IV განყოფილება — ტყავის ნაკეთობანი;

V განყოფილება — ხის ნაკეთობანი.

I განყოფილება. ლითონის ნაკეთობანი

1. ამ განყოფილებით გათვალისწინებულია მხატვრების შრომის ანაზღაურება ლითონისაგან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

2. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ლითონის ნიმუშების შექმნისათვის ავტორის სამუშაოთა შედგენილობაში შედის რბილი მასალით ესკიზის ან მოდელის შექმნა და ტირაჟირებისათვის ნიმუშების შექმნისას განმარტებითი ბარათის შედგენა.

3. კოკილის ან შტამპის დამუშავებაში ავტორის უშუალო მონაწილეობა ნიმუშისათვის დაწესებული გასამრჯელოს 25 პროცენტის დამატებითი ოდენობით ანაზღაურდება.

4. ამ განყოფილებით გათვალისწინებულია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ლითონის ნიმუშების შექმნის გასამრჯელო 5 ჯგუფის მიხედვით:

I ჯგუფი — უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები;
II ჯგუფი — სამკაულები;
III ჯგუფი — სპეციალური დანიშნულების ნივთები;
IV ჯგუფი — სამკერდე ნიშნები, ემბლემები, ჟეტონები, ნიშნები;
V ჯგუფი — ინტერიერების დეკორატიული გაფორმების საგნები.

I ჯგუფი: უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები

№ 1 ცხრილში გათვალისწინებულია უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და პირადი სარგებლობის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების ნიმუშების შექმნის გასამრჯელოს ოდენობა.

ცხრილი № 1
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები (დანები, სხვადასხვა ზომის საკედლე პლაკეტები და ა. შ.)	50-400

II ჯგუფი: სამკაულები

№ 2 ცხრილში გათვალისწინებულია სამკაულების — სამაჯურების, საყურეების, ბეჭდების, ყელსაბამების და სხვათა შექმნის გასამრჯელოს ოდენობანი.

დასატირაჟებელი ნაწარმოების ნიმუშის პროექტის შექმნის ცალკეული ეტაპები საავტორო გასამრჯელოს საერთო ოდენობისადმი შემდეგი პროცენტული დამოკიდებულებით გამოიხატება:

— გრაფიკული ესკიზი და განმარტებითი ბარათი — 40 პროცენტი;
— მოდელი ან მაკეტი (საჭიროების შემთხვევაში) — 50 პროცენტი;
— ავტორის მიერ ნიმუშის დამტკიცება მასალაში — 10 პროცენტი.

ცხრილი № 2
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
სამკაულები	50-400
შენიშვნები.	1. საყურეები და სხვა ამგვარი წყვილი სამკაულები ანაზღაურდება, როგორც ერთეული ნივთები. 2. ნაკეთობანი თვლებით, რომლებიც დამატებითს დამუშავებას მოითხოვენ, ანაზღაურდება ცხრილით გათვალისწინებული ძირითადი განაკვეთისადმი 1,2-მდე კოეფიციენტის გამოყენებით.

III ჯგუფი: სპეციალური დანიშნულების ნივთები

№ 3 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი სპეციალური დანიშნულების ნივთების — სასუვენირო მედლების, პრიზების, თასების, ზარდახშებისა და სხვათა შექმნისათვის.

ნიმუშის პროექტის შექმნის ცალკეული ეტაპები საავტორო გასამრჯელოს საერთო ოდენობისადმი შემდეგი პროცენტული დამოკიდებულებით გამოიხატება:

— გრაფიკული ესკიზი და განმარტებითი ბარათი — 40 პროცენტი;
— თაბაშირის მოდელი ან მაკეტი — 50 პროცენტი;
— ავტორის მიერ ნიმუშის დამტკიცება მასალაში — 10 პროცენტი.

ცხრილი № 3
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
პრიზები, თასები, ვიმპელები და სხვ.	100-500
ორმხრივი სასუვენირე მედლები	200-800

შენიშვნა. სახელობითი მედლები, რომლებიც საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით გამოდის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, ანაზღაურდება სკულპტურული ნაწარმოებების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთების IV განყოფილების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 16 მარტის № 91 დადგენილებით.

IV ჯგუფი: სამკერდე ნიშნები, ემბლემები, გერბები, ნიშნები

1. № 4 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი სასუვენირო სამკერდე ნიშნების, ჟეტონების, ემბლემების, გერბებისა და სხვათა შექმნისათვის.

2. პროექტის შექმნის ცალკეული ეტაპები საავტორო გასამრჯელოს საერთო ოდენობისადმი შემდეგი პროცენტული დამოკიდებულებით გამოიხატება:

— გრაფიკული ესკიზი განმარტებითი ბარათითურთ — 90 პროცენტი;

— ნიმუშის დამტკიცება ავტორის მიერ — 10 პროცენტი.

3. ზემოხსენებული ნაწარმოებების შექმნისათვის „რამდენიდან რამდენამდე“ საავტორო გასამრჯელოს ოდენობის განსაზღვრისას სამხატვრო საბჭო ითვალისწინებს სამკერდე ნიშნისა და ჟეტონის ხასიათს და დანიშნულებას, შემადგენელი ნაწილების (ზესადებების, კალაპოტებისა და სხვ.) რაოდენობას, გადაწყვეტის ერთპლანიანობას თუ მრავალპლანიანობას.

4. იმ შემთხვევაში, როცა სამკერდე ნიშნის, ემბლემისა თუ ჟეტონის თაბაშირის მოდელი სრულდება, ავტორის გასამრჯელო გამოძერწვისათვის დადგენილია 200 მანეთამდე ოდენობით 60 მილიმეტრამდე დიამეტრის მოდელისათვის.

5. სამკერდე ნიშნის, ნიშნის, ჟეტონის, ემბლემის უკანასტარი ანაზღაურდება ცხრილის ძირითად განაკვეთთან 0.75 კოეფიციენტის გამოყენებით.

ცხრილი № 4
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
პორტრეტული სამკერდე ნიშნები და ჟეტონები	30-150
სხვა სამკერდე ნიშნები და ჟეტონები	30-100
ემბლემები და გერბები	30-130

V ჯგუფი: ინტერიერების დეკორატიული გაფორმების ნივთები

№ 5 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი საწარმო-ორგანიზაციათა შეკვეთებით საზოგადოებრივი შენობების ინტერიერების დეკორატიული გაფორმების ნივთების შექმნისათვის.

ამ ჯგუფს განეკუთვნება 1 კვადრატულ მეტრამდე ზომის კედლის პანოს ტიპის ნაწარმოებები, რომლებიც შესრულებულია ლითონმჭანდაკებლობის (ლითონის ფურცელზე) და გალვანოპლასტიკის ტექნიკით.

ამგვარი ნაწარმოების შექმნისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობა მთლიანად დადგენილია (ცალკეული ეტაპების დაუნაწილებლად) 100-დან 1000 მანეთამდე ფარგლებში.

II განყოფილება. კერამიკის ნაკეთობანი

1. განაკვეთების ამ განყოფილებაში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა კერამიკის ნიმუშების შექმნისათვის.

2. კერამიკის ნაკეთობათა შექმნის სამუშაოთა შედგენილობაში შედის: ესკიზებისა და ნახატების შემუშავება, რბილი მასალით მოდელირება და მყარი მასალით ნაწარმოებების შექმნა

მიღებული ესკიზის მიხედვით დასატირაჟებელი ნაკეთობის შექმნისას საწარმო ავტორის მეთვალყურეობით ამზადებს თაბაშირის მოდელს. თაბაშირის მოდელის დამზადება არ შედის ავტორის ანაზღაურების ოდენობაში.

თაბაშირის მოდელის დამუშავება, ეტალონის მასალით შესრულებისადმი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა პროექტისათვის საავტორო გასამრჯელოს განაკვეთში შედის.

3. გამოყენებითი ხელოვნების დასატირაჟებელი ნაკეთობის ნიმუშის პროექტის შექმნის ცალკეული ეტაპები საავტორო გასამრჯელოს საერთო ოდენობისადმი შემდეგი პროცენტული დამოკიდებულებით გამოიხატება:

— გრაფიკული ესკიზი ქაღალდზე — 25 პროცენტი;
— რბილი მასალის მოდელი და თაბაშირის მოდელის ავტორისეული დამუშავება — 50 პროცენტი;
— მასალით ეტალონის შესრულებისადმი მეთვალყურეობა და ხელმძღვანელობა — 25 პროცენტი.

4. ამ განაკვეთებით წესდება საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი კერამიკისაგან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის სამი ჯგუფის მიხედვით.

I ჯგუფი — უტილიტარული, დეკორატიული და სასუვენირო ხასიათის კერამიკული ნაკეთობანი (მაქსიმალური განზომილებით 0,5 მეტრამდე);

II ჯგუფი — დეკორატიული ხასიათის კერამიკული ნაკეთობანი, რომლებიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების ინტერიერებისა და ექსტერიერების გასაფორმებლად (მაქსიმალური განზომილებით 1 მეტრამდე);

III ჯგუფი — დეკორატიული ხასიათის კერამიკული ნაკეთობანი საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების გასაფორმებლად (მაქსიმალური განზომილებით 1 მეტრზე მეტი).

5. თემატური და სასუვენირო ხასიათის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ნაწარმოებთა ეტალონების შექმნის საავტორო გასამრჯელოს ოდენობა წესდება შესაბამისი ცხრილის განაკვეთისადმი 1,5-მდე გადიდებული კოეფიციენტის გამოყენებით.

6. მოხატვით, რელიეფით და ძერწვით შესრულებული კერამიკული ნაკეთობის შექმნის საავტორო გასამრჯელო წესდება შესაბამისი ცხრილის განაკვეთისადმი 1,5-მდე გადიდებული კოეფიციენტის გამოყენებით.

I ჯგუფი: უტილიტარულ-დეკორატიული და სასუვენირო ხასიათის ნაკეთობანი

№ 5 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, დეკორატიული და სასუვენირო ხასიათის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 5
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
მცირე ზომის (მაქსიმალური განზომილებით 15 სანტიმეტრამდე) კერამიკული ნაკეთობანი:	
საყვავილე ვაზები, სურები და სხვ.	25-50
საშუალო ზომის (მაქსიმალური განზომილებით 30 სანტიმეტრამდე) კერამიკული ნაკეთობანი	50-200
დიდი (მაქსიმალური განზომილებით 50 სანტიმეტრამდე) კერამიკული ნაკეთობანი	100-300

II ჯგუფი: 1 მეტრამდე ზომის დეკორატიული ხასიათის კერამიკული ნაკეთობანი საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების გასაფორმებლად

№ 6 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების გასაფორმებლად დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კერამიკის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 6
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
დეკორატიული საკედლე პლასტები, საიატაკე ვაზები, დეკორატიული სურები და სხვა — მოხატული, ურელიეფო და გამოუძერწავი	100-500
დეკორატიული საკედლე პლასტები, ჭაღები, ტორშერები—მოხატული, რელიეფიანი და ნაძერწი	150-700

III ჯგუფი: მნიშვნელოვანი ზომის (მაქსიმალური განზომილებით 1 მეტრზე მეტი) დეკორატიული ხასიათის კერამიკული ნაკეთობანი საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობათა გასაფორმებლად

№ 7 ცხრილით გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი მნიშვნელოვანი ზომის (მაქსიმალური განზომილებით 1 მეტრზე მეტი) კერამი-

კულ ნაკეთობათა შექმნისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია საზოგადოებრივ შენობა-ნაგებობათა გასაფორმებლად (დეკორატიული ვაზები, საყვავილეები, სასმელი წყლის შადრევნები, უფიგურო დეკორატიული პლასტიკა და სხვ.)

ცხრილი № 7
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
დეკორატიული ვაზები, საკედლე პლასტები რელიეფით და მოხატული, ნაძერწი, საყვავილეები, სასმელი წყლის შადრევნები და სხვ.	150-700
დეკორატიული უფიგურო პლასტიკა	200-1000

III განყოფილება. მინის ნაკეთობა

1. ამ განყოფილებაში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სასუვენირო ხასიათის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მინის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

2. ნაკეთობათა სახეობისა და დამუშავების სირთულის მიხედვით ამ განყოფილების განაკვეთები დაყოფილია 3 ჯგუფად:

I ჯგუფი — მარტივი ფორმის უნაძერწო და უწახნაგო ნაბერი ნაკეთობანი;

II ჯგუფი — მცირედ ნაძერწი (ან ალმასისწახნაგებიანი) და 50 პროცენტამდე მოხატული ნაბერი ნაკეთობანი;

III ჯგუფი: — ნაძერწებიანი (ან ალმასისწახნაგებიანი) 50 პროცენტზე მეტად მოხატული რთული ფორმის ნაბერი ნაკეთობანი.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მინის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნის საავტორო გასამრჯელოს ოდენობის დადგენისას სამხატვრო საბჭო ითვალისწინებს ფორმის სირთულეს, დამუშავების ხასიათსა და სირთულეს, აგრეთვე ნაწარმოების ზომას.

3. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მინის ნაწარმოებთა ეტალონების შესაქმნელად ავტორის სამუშაოთა შედგენილობაში შედის:

— გრაფიკული ესკიზი — 40 პროცენტი;

— თაბაშირის მოდელი — 40 პროცენტი;

— მასალით ეტალონის შესრულებისადმი მეთვალყურეობა და ეტალონის ავტორის მიერ დამტკიცება — 20 პროცენტი.

I ჯგუფი: მარტივი ფორმის უნაძერწო და უწახნაგო ნაბერი ნაკეთობანი

№ 8 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები უნაძერწო და უწახნაგო მარტივი ფორმის ნაბერი მინის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 8
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
წვრილი ნაკეთობანი: სამურაბე ლამბაქები, თლაშოები და სხვ.	50-150
საშუალო ზომის ნაკეთობანი: ჩაის ლამბაქები, ფუქერები, ბოკალები, 250 მილიმეტრამდე სიმაღლის საყვავილე ვაზები, 0,5 ლიტრამდე მოცულობის გრაფინები, საშაქრეები, საკარაქეები და სხვ.	75-200
მსხვილი ნაკეთობანი: 250 მილიმეტრზე მეტი სიმაღლის საყვავილე ვაზები, 150 მილიმეტრზე მეტი დიამეტრის სახურავიანი და უსახურავო ვაზები და სხვ.	100-300

№ 9 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები მცირედ ნაძერწი ან ალმასისწახნაგიანი ზედაპირის 50 პროცენტამდე მოხატული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაბერი მინის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 9
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
წვრილი ნაკეთობანი: სამურაბე ლამბაქები, პატარა ბოკალები, თლაშოები და სხვ.	75-225
საშუალო ზომის ნაკეთობანი: ჩაის ლამბაქები, 250 მილიმეტრამდე სიმაღლის საყვავილე ვაზები, 0,5 ლიტრამდე მოცულობის გრაფინები, საშაქრეები, საფერფლეები და სხვ.	100-300
მსხვილი ნაკეთობანი: 250 მილიმეტრამდე მეტი სიმაღლის საყვავილე ვაზები, 150 მილიმეტრზე მეტი დიამეტრის მქონე ვაზები და სხვ.	150-300

№ 10 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები ნაძერწიანი ან ალმასისწახნაგიანი ზედაპირის 50 პროცენტზე მეტი მოხატული რთული ფორმის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაბერი მინის ნაწარმოების ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 10
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
წვრილი ნაკეთობანი: ჩაის ლამბაქები, თლაშოები, სირჩები და სხვ.	100-250
საშუალო ზომის ნაკეთობანი: ჩაის ლამბაქები, ბოკალები, 250 მილიმეტრამდე სიმაღლის საყვავილე ვაზები, 150 მილიმეტრამდე დიამეტრის ვაზები, საფერფლეები და სხვ.	150-400
მსხვილი ნაკეთობანი: 250 მილიმეტრზე მეტი სიმაღლის საყვავილე ვაზები, 150 მილიმეტრზე მეტი დიამეტრის ვაზები და სხვ.	225-600

ურთულესი ტექნიკით (ნაძერწი, წახნაგები, ამოჭმა, სილაჭავლი, წახნაგებიანი მინის ზედდება) შესრულებული მინის მაღალმხატვრული ნაწარმოებებისათვის საავტორო გასამრჯელოს ოდენობის დასადგენად იყენებენ შესაბამისი ცხრილის განაკვეთის 1,5-მდე გადიდებულ კოეფიციენტს.

IV განყოფილება. ტყავის ნაკეთობა

ამ განყოფილებით გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობა უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, სასუვენირო და დეკორატიული ხასიათის დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ტყავის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ტყავის ნაკეთობათა ეტალონების შემუშავების საავტორო სამუშაოთა შედგენილობაში შედის:

— გრაფიკული ესკიზი — 40 პროცენტი;
— ნახატების და თარგების შემუშავება — 40 პროცენტი;
— ნიმუშის ავტორისეული შესრულება — 20 პროცენტი.

ცხრილი № 11
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
წვრილი ნაკეთობანი: ბრელოკები, ვიწრო ქამრები, საგასაღებე ქისები და სხვ.	50-150
საშუალო ზომის ნაკეთობანი: ქამრები, საფულეები, ძაღლის საყელოები და სხვ.	70-200
მსხვილი ნაკეთობანი: ჩანთები, ადრესები, ყდები და სხვ.	100-250

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როცა ავტორი ამუშავებს სხვა მასალებისაგან (ბალთები, დეკორატიული კლიტეები, ღილები და სხვ.) ფურნიტურის პროექტს, ცხრილის ძირითადი განაკვეთისადმი გამოიყენება 1,5-მდე გადიდებული კოეფიციენტი.

V განყოფილება. ხის ნაკეთობანი

1. ამ განყოფილებით გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ხის ნაკეთობათა ნიმუშების შექმნისათვის.

2. გამოყენებითი ხელოვნების ხის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის ავტორის სამუშაოთა შედგენილობაში შედის:

— გრაფიკული ესკიზი — 60 პროცენტი;

— მასალით ეტალონის შესრულებისადმი მეთვალყურეობა — 20 პროცენტი;

— ეტალონის ავტორის მიერ დამტკიცება — 20 პროცენტი.

3. ამ განაკვეთებით გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის ოთხი ჯგუფის მხედვით:

I ჯგუფი — უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები;

II ჯგუფი — დეკორატიულ-გამოყენებითი ხასიათის ნივთები;

III ჯგუფი — საცხოვრებელ ნაგებობათა გასაფორმებელი დეკორატიული ხასიათის ნივთები;

IV ჯგუფი — საზოგადოებრივ შენობათა გასაფორმებელი დეკორატიული ხასიათის ნივთები

I ჯგუფი: უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები

№ 12 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი უტილიტარულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების — თეფშების, ბიუვარების, ჭურჭლის და სხვათა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ხის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 12
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
გამოჩარხული და ამომწვარი ნაკეთობანი, მოხატული ან სხვადასხვა მასალით ინკრუსტირებული და მოჩუქურთმებული ნაკეთობანი	50-200

II ჯგუფი: დეკორატიულ-გამოყენებითი ხასიათის ნივთები

№ 13 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი დეკორატიულ-სასუვენირო ხასიათის — ბრელოკების, ბლოკნოტებისა და უბის წიგნაკების ყდების, ადრესების ყდებისა და სხვა ნივთების დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ხის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის.

ცხრილი № 13
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
ხის ჩუქურთმის სასუვენირო ნაკეთობანი	50-200
ინკრუსტირებული სასუვენირო ნაკეთობანი	70-250
ინტერალ-მარკეტრის ტექნიკით შესრულებული სასუვენირო ნაკეთობანი	50-200

III ჯგუფი: საცხოვრებელ ნაგებობათა გასაფორმებელი დეკორატიული ხასიათის ნივთები

№ 14 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი დეკორატიული ხასიათის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის, რომლებიც განკუთვნილია საცხოვრებელ ნაგებობათა ინტერიერების გასაფორმებლად: საკედლე თეფშები, ხის ჩუქურთმის ტექნიკით შესრულებული დეკორატიული საკედლე კომპოზიციები და ინტერალ-მარკეტრის ტექნიკით შესრულებული ინკრუსტაცია სხვადასხვა მასალით.

ცხრილი № 14
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
დეკორატიული ხასიათის ხის ჩუქურთმის ნაკეთობანი	50-300
ინტერალ-მარკეტრის ტექნიკით შესრულებული დეკორატიული ხასიათის ნაკეთობანი	50-250
სხვადასხვა მასალით ინკრუსტირებული დეკორატიული ხასიათის ნაკეთობანი	50-350

IV ჯგუფი: საზოგადოებრივი შენობების გასაფორმებელი დეკორატიული ხასიათის ნივთები

№ 15 ცხრილში გათვალისწინებულია საავტორო გასამრჯელოს ოდენობანი დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დეკორატიული ხასიათის ხის ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის, რომლებიც განკუთვნილია საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების გასაფორმებლად — კედლის პანოები, საკედლე თეფშები და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი № 15
(მანეთი 1 ნაკეთობისათვის)

ნაკეთობის დასახელება	საავტორო გასამრჯელოს განაკვეთები (რამდენიდან რამდენამდე)
გამოჩარხული, ამომწვარი და მოხატული დეკორატიული ნაწარმოებები	100-300
ხის ჩუქურთმის დეკორატიული ნაწარმოებები	100-1000
სხვადასხვა მასალით ინკრუსტირებული დეკორატიული ნაწარმოებები	100-700
ინტერალ-მარკეტრის ტექნიკით შესრულებული დეკორატიული ნაკეთობანი	100-800

შენიშვნა: როცა ხის დეკორატიული ნაწარმოების ნიმუშები ეძღვნება ისტორიულ თემებს, რაც ავტორისაგან მასალების დამატებითს შესწავლას მოითხოვს, ცხრილის ძირითადი განაკვეთისადმი გამოიყენება 1,5-მდე გადიდებული კოეფიციენტი.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1984 წლის 5 სექტემბრის № 707 დადგენილებით

ტიპობრივი დებულება

საქართველოს სსრ სამინისტროს (უწყების) დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შემფასებელი სამხატვრო საბჭოს შესახებ

ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს სსრ სამინისტროს (უწყების) დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შემფასებელი სამხატვრო საბჭო სამინისტროს (უწყების) საექსპერტო-საკონსულტაციო ორგანოა და საზოგადოებრივ საწყისებზე იქმნება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოსაშვებ ნაკეთობათა მაღალი მხატვრული დონე და ხარისხის გაუმჯობესება, მეთოდური დახმარება გაუწიოს მხატვრულ ნაკეთობათა ახალი ნიმუშების შემუშავებას, განსაზღვროს ძირითადი საავტორო გასამრჯელო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის, რომლებსაც შემდეგში მრეწველობაში გამოიყენებენ (დაატირაჟებენ).

2. საქართველოს სსრ მინისტრი ან უწყების ხელმძღვანელი თავისი ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს სსრ სამინისტროს (უწყების) დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შემფასებელი სამხატვრო საბჭოს დებულებას, რომელიც შემუშავებულია ამ ტიპობრივი დებულების შესაბამისად, ან სამხატვრო საბჭოს ფუნქციებს აკისრებს არსებულ დარგობრივ სამხატვრო (სამხატვრო-ტექნიკურ) საბჭოს იმ პირობით, რომ ამ საბჭოს შემადგენლობას შეავსებენ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების დარგის სპეციალისტებით.

სამხატვრო საბჭოს უფლება-მოვალეობანი

3. სამხატვრო საბჭო მისთვის დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

— რეკომენდაციებს აძლევს მოცემული სამინისტროს, უწყების გაერთიანებებს, საწარმოებს, ორგანიზაციებს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობათა სტილური მიმართულების საკითხებში;

— განიხილავს, აძტკიცებს (ან უარყოფს) დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშებს, რომლებიც გათვალისწინებულია მრეწველობაში გამოყენებისათვის (ტირაჟირებისათვის);

— დამტკიცებული განაკვეთების ფარგლებში განსაზღვრავს ძირითადი საავტორო გასამრჯელოს ოდენობას დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის;

— იმ შემთხვევაში, როცა ჯერ არ არსებობს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შეფასების მომენტში საავტორო გასამრ-

ჯელოს დამტკიცებული განაკვეთები, სამხატვრო საბჭო, იდეურ-მხატვრული ღირსებების საფუძველზე, თვითონ განსაზღვრავს საავტორო გასამრჯელოს ოდენობას, რომელსაც შემდგომში საქართველოს მხატვართა კავშირის სამხატვრო საბჭო ამტკიცებს;

— განხილვის შემდეგ 10 დღის ვადაში აფორმებს და გასცემს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების ნიმუშის პასპორტს;

— მუდმივ კონტროლს უწევს იმას, რომ დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოშვებული ნაკეთობა შეესაბამებოდეს დამტკიცებულ ნიმუშს;

— სამინისტროში, უწყებაში შეაქვს წინადადებანი სამხატვრო საბჭოს მიერ დაუმტკიცებელი ნიმუშების მიხედვით გამოშვებული ან დამტკიცებული ნიმუშებისადმი შეუსაბამო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობების წარმოებიდან მოხსნისა და რეალიზაციის აკრძალვის შესახებ და ამგვარი შემთხვევების თავიდან აცილების შესახებ;

— მონაწილეობს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა საუკეთესო ნიმუშების შერჩევაში რესპუბლიკურ და სხვა გამოფენებზე მათი ექსპონირების მიზნით.

სამხატვრო საბჭოს მუშაობის წესი

4. სამხატვრო საბჭო მუშაობს სამინისტროს, უწყების მიერ დამტკიცებული გეგმით და სხდომებს იწვევს საჭიროების კვალობაზე.

5. სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უბრალო უმრავლესობით, თუ სხდომას ესწრება მისი შემადგენლობის სულ ცოტა ორიმესამედი. სამხატვრო საბჭოს სხდომა აისახება ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი.

6. წარმოდგენილ ნიმუშებს სამხატვრო საბჭო, როგორც წესი, განიხილავს ავტორის მონაწილეობით, ხოლო დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა ნიმუშების შექმნისათვის ძირითადი საავტორო გასამრჯელოს თანხას განსაზღვრავს ავტორის მონაწილეობის გარეშე.

7. დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა დასამტკიცებლად წარმოდგენილ ნიმუშებს ეძლევათ შეფასება: „მიღებულ იქნეს“, „მიღებულ იქნეს დახვეწის შემდეგ“ ან „უარყოფილია“.

სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილება მოკლედ ჩამოყალიბდება ოქმში. თუ ნიმუში უარყოფილია ან მიღებულია დახვეწის შემდეგ, ოქმში ზუსტად უნდა იყოს აღწერილი საჭირო შესწორებანი ან წარმოდგენილი ნიმუშის უარყოფის დასაბუთება. დახვეწილ ნიმუშს საბჭო განმეორებით განიხილავს.

სამხატვრო საბჭოს შემადგენლობა და სტრუქტურა

8. სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში შედიან დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები: მხატვრები, გამოყენებითი ხელოვნების ხალხური ოსტატები, ხელოვნებათმცოდნეები, კულტურის ორგანოების, საქართველოს მხატვართა კავშირის, საზოგადოებრივი და სა-

ვაჭრო ორგანიზაციების, გაერთიანებების, მხატვრული რეწვის საწარმოების წარმომადგენლები.

სამხატვრო საბჭოს შემადგენლობაში სულ ცოტა ორმესამედს უნდა შეადგენდნენ მხატვრები, გამოყენებითი ხელოვნების ხალხური ოსტატები და ხელოვნებათმცოდნეები.

9. სამხატვრო საბჭოს შემადგენლობა (11-20 კაცი) უნდა დამტკიცდეს მინისტრის (უწყების ხელმძღვანელის) ბრძანებით. სამხატვრო საბჭოს თავმჯდომარედ ინიშნება მინისტრის მოადგილე ან უწყების ხელმძღვანელის მოადგილე.

10. სამხატვრო საბჭოს იწვევს და სხდომის მასალებს ამზადებს მდივანი საბჭოს თავმჯდომარის მითითებით.

11. სამხატვრო საბჭო თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს აბარებს სამინისტროს, უწყებას, რომელთანაც შექმნილია სამხატვრო საბჭო.

12. ეს ტიპობრივი დებულება არ ვრცელდება საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის, მისი საწარმოებისა და ორგანიზაციების სამხატვრო საბჭოების საქმიანობაზე.

---

83 საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხების დამტკიცების წესის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 12 ივლისის № 738 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საპროექტო-საძიებო სამუშაოთა ხუთწლიანი გეგმების შემადგენლობაში ახალასაშენებელი, სარეკონსტრუქციო და გასაფართოებელი საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის შესამუშავებელი პროექტების ნუსხებს დაამტკიცებენ:

— თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1,5 მილიონი მანეთიდან 4 მილიონ მანეთამდე — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი;

— თუ სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაა 1,5 მილიონ მანეთამდე — რესპუბლიკის სამინისტროები და უწყებები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ჭუთაისისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1982 წლის 9 მარტის № 165 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ. 19 ოქტომბერი, № 726

84 იმ ინვალიდთა და ღრმა მოხუცთა მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც არ იღებენ სახელმწიფო ან საკოლმეურნეო პენსიებს

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ ყოველთვიური დახმარება შეიძლება დაენიშნოთ მატერიალურად ხელმოკლე ღრმა მოხუცებს და პირველი ჯგუფის ინვალიდებს, რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო პენსიების მიღების უფლება, მათ შორის უსინათლოებსა და ყრუებს, შემთხვევის გამო ინვალიდებს, რომლებსაც არა აქვთ კავშირი სოფლის მეურნეობასთან, აგრეთვე მატერიალურად ხელმოკლე I და II ჯგუფის ინვალიდებსა და ღრმა მოხუცებს იმ კოლმეურნეობების ყოფილ წევრთა რიცხვიდან, რომელთა მიწები გადაეცა საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებს და რომელთაც არა აქვთ სახელმწიფო ან საკოლმეურნეო პენსიების მიღების უფლება.

ყოველთვიურ დახმარებას დაუნიშნავენ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები მას შემდეგ, რაც ყოველმხრივ შეამოწმებენ დახმარების მთხოვნელის მატერიალურ მდგომარეობას და დაადგენენ, რომ არა ჰყავს ნათესავები, რომლებიც კანონით მოვალენი არიან შეინახონ იგი ან ამ ნათესავებს არ შეუძლიათ მისი შენახვა;

2. ყოველთვიური დახმარება 20 მანეთი დაენიშნოთ ქალაქსა, ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფელ ადგილებში მცხოვრებთ.

დახმარების გაწევის ხარჯებს გაიღებენ სოცუზრუნველყოფის ორგანოები ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის შესაბამისი ბიუჯეტების, საქალაქო და რაიონული ბიუჯეტების ხარჯზე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ნოემბრის № 798 და 1962 წლის 28 დეკემბრის № 867 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია.**

ქ. თბილისი, 1984 წ. 19 ოქტომბერი, № 729

85 სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვ. ა. სანაკოევის სახელობის სტიპენდიის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

რევოლუციური მოძრაობის მოღვაწის ვლადიმერ არჯევანის ძე სანაკოევის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით დაწესდეს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ყველაზე წარჩინებული სტუდენტებისათვის ერთი სახელობითი სტიპენდია ინსტიტუტისათვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდის ფარგლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ნ. ჟითანავა**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1984 წ. 23 ოქტომბერი, № 736.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5, 1984 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/II-85 წ. ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆,
საბეჭდი თაბახი 5, სააღრიცხვო თაბახი 5

შეკვეთა 1275 უე 05091 ტირაჟი 1700

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.